# სარბიელი

სპორტული გაზეთი · პარასკევი 21 ივნისი 2002 №113 (1635) · ფასი 50 თეთრი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი შინ ბრუნდება

## მამა ბრაზილია VS დედა ინგლისი






სამყაროთა ომისა რა მოგახსენოთ, მსოფლმხედველობათა ომი კი დღეს ნაღდად შედგება. ბრაზილია — ინგლისის მეოთხედფინალური მატჩი სანახაობრივად შესაძლოა, ლამაზი არ გამოდგეს, სიფრთხილე შესაძლოა, სასურველზე მეტი იყოს, ხოლო ნებისმიერი შედეგი სენსაციური ვერ იქნება.

მაგრამ ეს იქნება ომი, რომელსაც ერთი კონკრეტული მატჩის რანგში ვერ განიხილავ — დახვეწილი, ნატიფი ინდივიდუალიზმი მკაცრი საფეხბურთო დისციპლინის წინააღმდეგ.

ერთი სიტყვით, შიზუოკაში დღეს ვულკანი ამოხეთქავს და ან ინგლისს წალეკავს, ან ბრაზილიას.

მატჩი სხვა რამითაც არის მნიშვნელოვანი. წლების მერე, ყოველი მსოფლიოს ჩემპიონატის გახსენებისას, უპირველესად დიდ გუნდთა დაპირისპირება გვიდგება თვალწინ. ამ მუნდიალმა კი სენსაციათა სიმრავლის პროპორციულად დიდთა ჯახი აგვაცილა. დიახ, ვნახეთ კორეელთა თავგანწირვა და სენეგალელთა ლაღი თამაში, მაგრამ მათ აგვაცილეს სხვა დაპირისპირებები — შესაძლო იყო, მერვედფინალში პორტუგალია — იტალიის და საფრანგეთ — ინგლისის ბრძოლები გვენახა. ვერ ვნახეთ და ინგლის — ბრაზილიის უსაზღვრო მოლოდინის ერთი მიზეზი ესეც გახლავთ.

დღესვე, როცა ამ დიდი მატჩით მიღებული ემოცია ჩამცხრალი არ იქნება, გერმანია შეხვდება ამერიკას და კაცმა რომ თქვას, გერმანელთა უდავო ფავორიტად მიჩნევა დიდი სითამამეა. გერმანიას უყვარს, როცა თავად კარნახობს მეტოქეს თამაშის პირობებს, მაგრამ ამ ჩემპიონატზე ის სულაც არ კარნახობს იმას, რასაც მივეჩვიეთ.

დღეს ეს ორი თამაშია, ხვალ კი ესპანეთი კორეასთან ითამაშებს, სენეგალი — თურქეთთან.

ჩემპიონატს შემორჩენილთა შორის აღარ არიან არგენტინა და იტალია, თუმც ორიოდე სიტყვა მათზეც ვთქვათ.

მარსელო ბიელსას წყალი შეუდგა, დღესხვალ, ალბათ, მოხსნიან და ეს მოულოდნელი ამბავი სულაც არ იქნება. ცოტა უცნაური სხვა რამაა — დღეს არგენტინელი ხალხის უმეტესობა ბრაზილიას ქომაგობს, რაც აქამდე არასდროს მომხდარა. თუმცა დიდადაც ნუ გავიკვირვებთ, რაკი ბრაზილიის მეტოქე ინგლისია, არგენტინელთა ყველაზე დიდი მტერი.

იტალიაში კი „პერუჯას" პრეზიდენტს „სკუადრა აძურას" მარცხმა ჭკუა დააკარგვინა, ისეთი აზრები უტრიალებს თავში, თუმცა უკვე გამოჩნდა ხალხი, ვინც მსაჯთა შეთქმულების ნაცვლად ჯოვანი ტრაპატონის შეცდომებზე დაიწყო ლაპარაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კორეა-იაპონია 2002
## ანონსი. მეოთხედფინალი. №57

## ინგლისი — ბრაზილია

დღეს. შიზუოკა (იაპონია). „შიზუოკა ეკოპა". 11.30

### სავარაუდო შემადგენლობები

| | |
|---|---|
| სიმენი, მილსი, ფერდინანდი, კემპბელი, ე. კოული, ბექემი, სქოულზი, ბათი, სინკლერი, ოუენი, ჰესკი | მარკოსი, ლუსიო, ედმილსონი, როკე ჟუნიორი, კაფუ, ჟილბერტო სილვა, ჟუნინიო, რობერტო კარლოსი, რივალდო, რონალდო, რონალდინიო |
| მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი | მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი |

მსაჯი: ფელიპე რამოს რიზო (მექსიკა)

# დიდი ხმაური

## ფაულერს ჰერსტობა მოუნდა, რონალდოს ერთადერთობა



მაიკლ ოუენმა ფეხზე ხელი ცუდად მოიკიდა

**მსოფლიოს ჩემპიონატის** ერთმა მეოთხედფინალურმა მატჩმა მთელი მსოფლიო ლამის ორ ბანაკად გაყო. ინგლისი — ბრაზილია, თემა, რომელიც 18 ივნისის შემდეგ ყველაზე აქტუალურია დედამიწაზე. 18 ივნისს ბრაზილიამ ბელგიის ძლევით გაიფორმა მეოთხედფინალის საგზური და ხმაურიც დაიწყო.

დღეს დიდი ომია, ომი, რომელსაც ერთი კონკრეტული მატჩით ვერაფრით განიხილავ — დახვეწილი, ნატიფი ინდივიდუალიზმი მკაცრი საფეხბურთო დისციპლინის და გუნდური შემართების წინააღმდეგ. დღეს ჩვენ ევროპული და სამხრეთამერიკული საფეხბურთო სკოლების დიდ ოსტატთა დაპირისპირებას ვნახავთ. მატჩამდე კი ყველაფერი ამოსახეთქად გამზადებულ ვულკანს ჰგავს — მოიქნევს თუ არა ჩვეულად რივალდო, იჯადოქრებს თუ არა რონალდო, გაიქცევა თუ არა ოუენი, ეყოლება თუ არა ბრაზილიას დაცვა, შეძლებს თუ არა ინგლისი დაცვაში გაუვალი გუნდის რეპუტაციის შენარჩუნებას... შიზუოკაში ვულკანი ამოხეთქავს და ან ინგლისს წალეკავს ან ბრაზილიას.

### არგენტინას ბრაზილია უნდა

საბრალო არგენტინელები — მსოფლიოს ჩემპიონატიდან თვისტომთა ნაადრევმა აბარგებამ საფეხბურთო მტრისკენ რომ გაახედა. პარადოქსია, არგენტინა დღევანდელ ომში ბრაზილიას ქომაგობს. ორმა სოლიდურმა არგენტინულმა გაზეთმა გამოკითხვა მოაწყო და ზემოთ ნახსენები მოულოდნელი შედეგი მიიღო. როგორც ჩანს, გაზეთმა „კლარონმა" „ლა ნასიონალის" და „ოლეს" გამოკითხვის შედეგები შემთხვევითობად მიიჩნია და 12 ათას რესპონდენტს კითხვა შეუტრიალა, რომელ ნაკრებს უსურვებთ წაგებას მსოფლიოს ჩემპიონატზეო. 52-მა პროცენტმა წაქცეულად ისევ ერიკსონის გუნდის ნახვა ინდომა. ისე, არგენტინელთა ამგვარი განწყობა გასაგებიცაა, რადგან ინგლისთან მარცხმა ბიელსას გუნდის ჯგუფში ჩარჩენა განაპირობა.

ინგლისელ ჟურნალისტთა ცნობისწადილი კი ორაზროვნად დააკმაყოფილა დოლზე გადართულმა სერ ალექს ფერგიუსონმა. ჩემპიონატის მომგები ბრაზილია მგონია, მაგრამ ინგლისს ვქომაგობ და გაიმარჯვებს კიდეცო. სალეჭი რეზინის მოყვარულ შოტლანდიელს თავის მოწაფეთა შექებაც არ დაავიწყდა მიხარია, ბექემი და სქოულზი რომ დაფრინავენ, მაგრამ გამორჩევით ნიკი ბათის გააზრებული თამაში მალცებს და ეს ბიჭი მალე ინგლისის ნაკრების ლიდერი იქნებაო.



რობერტო კარლოსმა რივალდოს ფეხი მაკრატელისთვის გაუჭიმა

### ფანტაზია და ცივი გონება

რივალდო, რონალდო — დიდი საქმეების გამკეთებელი ხალხი. ფეხბურთელები, რომელთა შესაძლებლობები უსაზღვრო და ამოუცნობია. ორი ადამიანი, რომელთაც დღეს მთელი ბრაზილია იმედით შესცქერის.

ცხადია, სკოლარისთვის ინგლისელთა დამარცხების უმთავრესი კოზირი რივალდო-რონალდოს დუეტია. მათ ცალცალკეც ბევრი თამაში მოუგიათ და დღესაც შეეცდებიან, დიდებით შემოსონ სამხრეთელები.

ბელგიასთან თანაგუნდელთა პასებით მომმარაგებელი რონალდინიოც არ დაგვავიწყდეს, მატჩიდან მატჩამდე რომ უმატებს და ბევრი ფიქრი არ სჭირდება იმ დასკვნას, რომ „დიდი ფილის" გუნდს შეტევაში საქმე ჩინებულად აქვს. ამას ციფრებიც ადასტურებს — 13 გოლი 4 მატჩში, მაგრამ... ბრაზილიის უკლებლივ ყველა ქომაგი გუნდის დაცვის უსუსურობას შეუშფოთებია, თუმც არავინ ახსენებს სამხრეთელთა ნახევარდაცვას. ბრაზილიელებს ამ სათამაშო რგოლშიც რომ დიდი ჩავარდნა აქვთ, იმავ ბელგიასთან მატჩმაც დაადასტურა. ამიტომ, სადაც რივალდოს შთამბეჭდავ მაკრატელას და რონალდოს ეფექტურ გოლებს გავიხსენებთ, მარკოსის კარში ორი გოლის გამტანი და ათამდე საგოლე მომენტის შემქმნელი კოსტა რიკაც ნუ დაგვავიწყდება. ნურც ფლანგებზე მოჭენავე და ცენტრიდან შემტევ ბელგიას დავივიწყებთ.

ინგლისი კი არც ბელგიაა და მით უფრო, არც კოსტა რიკა. სვენ გორან ერიკსონის მოწესრიგებული ევროპული მანქანა ბევრის მპატიებელი არ არის. შვედის კოზირი მეტოქის ნახევარზე მჭიდრო პრესინგი და სწრაფი კონტრშეტევაა და ამან ბრაზილიას მოედნის სიგანეზე სირბილი არ უნდა დააწყებინოს. ინგლისელთა მკვლელი პრესინგისგან თავდასაღწევად ბრაზილიის ერთადერთი შანსი ტემპის გაზრდაა, ეს თუ წარმატებით მოახერხა, საქმეს გვარიანად წაიგდებს წინ, მაგრამ კაცმა არ იცის, რას უმზადებს ტეტრაკამპეონებს ტაქტიკურ სქემათა ჩემპიონი სვენ შვედი.

### რიო – ბრაზილიის გამჩერებელი

ბრაზილიის უდიდესი ქალაქის მოსახელე კაცი სამხრეთელებს ემუქრება. რიო ფერდინანდი კორეა-იაპონიაში ერთ-ერთი საუკეთესოა თავის პოზიციაზე და წარმატებულ თამაშს მეოთხედფინალურ მატჩშიც გეგმავს.

„ორი გამორჩეული კლასის ნაკრებთა შეხვედრაში ჩვენ გავიმარჯვებთ. რონალდოს გასაქანს არ მივცემ. ამ მატჩში ბევრ რამეს მიკროდუელები გადაწყვეტს. ერთ-ერთში მონაწილეობა მეც არ ამცდება და შევეცდები, მეტოქეს ფეხი არ გავანძრევინო. ჩვენ ბრაზილიას გავაჩერებთ" — დაიქადნა ფერდინანდმა.

თავდაჯერება არც სხვებს აკლიათ, საპასუხო სიტყვა კი რონალდომაც თქვა: „ბრაზილია საუკეთესოა. ჩვენ არ უნდა დავინტერესდეთ იმით, თუ რა სქემით ითამაშებს მეტოქე. უბრალოდ მოსაგებად უნდა გავიდეთ და ვაკეთოთ ის, რაც საამისოდაა საჭირო. მჯერა, ინგლისთან მატჩის შემდეგ გამარჯვებული და ბომბარდირთა დავაში ერთპიროვნული ლიდერი ვიქნები."

უცნაურად ჭიკჭიკებს კაფუ: „ინგლისის კოზირი მძლავრი დაცვაა, მაგრამ ამ მხრივ მეტოქეს არაფრით ჩამოუვარდებით."

დენი მილსი კი თავის დაზოგვას არ აპირებს. ლიდსელ მცველს ერთი გაფრთხილება უკვე აქვს, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ანაღვლებს: „ყვითელი ბარათის შიში სისულელედ მიმაჩნია. დევივით ვიბრძოლებ. თანახმა ვარ, ოღონდ გავიმარჯვოთ და ნახევარფინალი გამოვტოვო. ჩვენი შესაძლებლობიდან გამომდინარე, ბრაზილიელთა დამარცხება რეალურია."

აქვე რობი ფაულერიც ვახსენოთ, პირველი სამუნდიალო მატჩი დანიასთან რომ ითამაშა შეცვლაზე. რობის ჯეფრი ჰერსტობა მონდომებია და მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის მთავარ ამბავს იხსენებს: „ჰერსტი მაშინ სათადარიგო იყო და თავის გამოჩენის შანსი არც ჰქონდა, ჯიგარი ჯიმი გრივსი რომ არ დაშავებულიყო. მაშინდელ ფინალში ჰერსტმა ჰეთ თრიქი შეასრულა და ეს ამბავი თავიდან არ ამომდის. ვგრძნობ, რომ მისებრ გაბრწყინება შემიძლია. ჩვენი ფინალი დღესდღეობით ბრაზილიის დამარცხებაა და შანსი თუ მომეცა, ხელიდან არ გავუშვებ."

ფაულერის ამგვარი ფიქრი ნაწილობრივ ჩაუქი ოუენის ტრავმითაა გამოწვეული, მაგრამ ინგლისელთა ბანაკი ოუენის და მის დღეში მყოფი პოლ სქოულზის ბედზე კონკრეტულს არაფერს ამბობს. ბევრის აზრით, ეს ორი ფეხბურთელი პირველივე წუთიდან შეეშველება თავისიანებს, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ოუენმა და სქოულზმა ოთხშაბათის ვარჯიში გამოტოვეს, გუშინდელ წვრთნაზე სრულად დაიხარჯნენ.

ბოლოს, ეროვნული გმირობის და ანტიგმირობის ზღვარზე მდგარი სკოლარის სიტყვებიც ვახსენოთ: „მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის ეკვატორი გადავლახეთ, ნამდვილი ჩემპიონატი ჩვენთვის ინგლისთან მატჩით იწყება."

**ბაათა ძმანტალიანი**



ლუიშ ფელიპე სკოლარის ტაქტიკა რონალდოს ჯადოქრობაა



სვენ გორან ერიკსონმა საბრაზილიოდ, ალბათ, რაღაც მოიფიქრა

### ურთიერთშეხვედრები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1956 | ამ | ინგლისი 4:2 ბრაზილია | 1978 | ამ | ინგლისი 1:1 ბრაზილია |
| 1958 | მჩ | ინგლისი 0:0 ბრაზილია | 1981 | ამ | ინგლისი 0:1 ბრაზილია |
| 1959 | ამ | ბრაზილია 2:0 ინგლისი | 1984 | ამ | ბრაზილია 0:2 ინგლისი |
| 1962 | მჩ | ბრაზილია 3:1 ინგლისი | 1987 | ამ | ინგლისი 1:1 ბრაზილია |
| 1963 | ამ | ინგლისი 1:1 ბრაზილია | 1990 | ამ | ინგლისი 1:0 ბრაზილია |
| 1964 | ამ | ბრაზილია 5:1 ინგლისი | 1992 | ამ | ინგლისი 1:1 ბრაზილია |
| 1969 | ამ | ბრაზილია 2:1 ინგლისი | 1993 | ამ | ინგლისი 1:1 ბრაზილია |
| 1970 | მჩ | ბრაზილია 1:0 ინგლისი | 1995 | ამ | ინგლისი 1:3 ბრაზილია |
| 1976 | ამ | ბრაზილია 1:0 ინგლისი | 1997 | ამ | ბრაზილია 1:0 ინგლისი |
| 1977 | ამ | ბრაზილია 0:0 ინგლისი | 2000 | ამ | ინგლისი 1:1 ბრაზილია |

შენიშვნა: ამ — ამხანაგური მატჩი, მჩ — მსოფლიოს ჩემპიონატი.

# გერმანელთა მეგობრული შარჟები

## როგორ უნდა გახდეს ამერიკელი ბიჭი ფეხბურთელი?

### მარადონამ ხმელეთზე ტანკი გაიხსენა, ჰაერში კი კლოზე

კორეა-იაპონია 2002
ანონსი. მეოთხედფინალი. №58

**გერმანია — აშშ**

დღეს. ულსანი (კორეა). „ულსან მუნსუ სტადიუმი". 16.30

**სავარაუდო შემადგენლობები**

| გერმანია | აშშ |
|---|---|
| კანი, ლინკე, რამელო, მეცელდერი, ფრინგსი, შნაიდერი, ჰამანი, ბალაკი, ციგე, კლოზე, ნოივილი | ფრიდელი, პოუპი, მასტროენი, ბერჰალტერი, სანე, დონოვანი, რეინა, ობრაიენი, ჰეიდუკი, მეტისი, მაკბრაიდი |
| მწვრთნელი: რუდი ფიოლერი | მწვრთნელი: ბრიუს არენა |

მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)

**ურთიერთშეხვედრები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1993 | ამ | აშშ 3:4 გერმანია | 1999 | ამ | აშშ 3:0 გერმანია |
| 1993 | ამ | აშშ 0:3 გერმანია | 1999 | ამ | აშშ 2:0 გერმანია |
| 1998 | მჩ | გერმანია 2:0 აშშ | 2000 | ამ | გერმანია 4:2 აშშ |

შენიშვნა: ამ — ამხანაგური მატჩი, მჩ — მსოფლიოს ჩემპიონატი



რახანია, გერმანიას მეოთხედფინალზე გადაფრენა არ ღირსებია

**უკვე** მერამდენედ გვიწევს იმის თქმა, რომ გერმანია ეიფორიაშია.

მაგრამ დღეს გერმანელებმა მეოთხედფინალი უნდა ითამაშონ. თუ უახლოეს წარსულს გადავქექავთ, ეს ეტაპი მათ ძალიან ცუდად აქვთ დაცდილი.

დავიწყოთ 1994 წლიდან, როცა ბერტი ფოგტსის დამოძღვრილი გერმანია მეოთხედფინალში ბულგარეთს გადაეყარა. მსოფლიოსა და ევროპის სამგზის ჩემპიონები ლოთარ მათეუსის თერთმეტმეტრიანით დაწინაურდნენ, მაგრამ მატჩის მიწურულს ხრისტო სტოიჩკოვმა საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა, გამარჯვებისა კი ბოლო წუთებზე იორდან ლეჩკოვმა თავურით შეაგდო.

ოთხი წლის შემდეგ გერმანია კვლავ მეოთხედფინალში შეჩერეს. ხორვატებთან მატჩში ფოგტსის გუნდს კრისტიან ვიორნსი გაუძევეს და სამხრეთელმა სლავებმაც აიწყვიტეს — გერმანია 3:0 გვეძეს.

ახლა კი ამერიკა ელის რუდი ფიოლერის ბიჭებს. „მთელი ჩემი კარიერის მანძილზე გუნდში ასეთი კარგი ატმოსფერო არასდროს ყოფილა" — აღნიშნა გერმანელთა 29 წლის ფორვარდმა ოლივერ ნოივილმა.

რა უფლება გვაქვს, ნოივილის სიტყვები არ ვირწმუნოთ, მაგრამ გერმანიის ნაკრებში და საერთოდ გერმანიაში რომ ზედმეტად თავდაჯერებულნი არიან, ესეც ფაქტია.

გუნდის ლიდერი და კაპიტანი ოლივერ კანი ცოტა სხვაგვარად, ალბათ, რეალურად აზროვნებს: „1994 და 1998 წლებში იმიტომ წავაგეთ, რომ გონებით და აზრით საკუთარ თავს ნახევარფინალში ვხედავდით. ახლა უფლება აღარ გვაქვს, ეს შეცდომა გავიმეოროთ."

გერმანელთა ბანაკში სიახლე ის არის, რომ პარაგვაისთან დაშავებული კრისტოფ მეცელდერი სრულად გამოჯანმრთელდა.

ფიოლერი, ალბათ, დისკვალიფიკაციამოხდილ სამივე ფეხბურთელს — კარსტენ რამელოს, დიტმარ ჰამანს და კრისტიან ციგეს სასტარტო შემადგენლობაში დააბრუნებს. თუმც დიდი შანსია, იენს იერემისი და სებასტიან კელიც ვიხილოთ და ზემოხსენებულ სამეულიდან ვიღაც ამოვარდეს. ასეთი საფრთხე მხოლოდ დიტმარ ჰამანს არ ემუქრება.

ამერიკელთაგან დისციპლინარული სასჯელი ფრენკ ჰეიდუკმა მოიხადა, ხოლო ტრავმირებული ჯეფ აგოსი გამოჯანმრთელდა, მაგრამ მისი სასტარტოში ყოფნა სათუოა.

ერთიცაა, ამერიკას უკვე აქვს მუნდიალის ნახევარფინალში თამაშის ტრადიცია. ოკეანისგაღმელებმა ეს ერთხელ უკვე შეძლეს, 1930 წელს, თუმც მაშინ ნახევარფინალამდე ოდენ ორი მეტოქეს დამარცხეს.

ისე, ამ მუნდიალზე ამერიკელებმა უკვე მოიპოვეს ორი შთამბეჭდავი გამარჯვება — ჯერ პორტუგალიას მოუგეს 3:2, მერე მერვედფინალში მექსიკას 2:0. ჰოდა, გუნდის დამრიგებელი ბრიუს არენა ამბობს: „თუ გერმანიას ვერ მოვუგებთ, თავს ცუდად მაინც არ ვიგრძნობთ, ჩვენი მუნდიალზე გამოსვლით ისედაც ყველა კმაყოფილი იქნება. მაგრამ ამ მატჩს გამარჯვების რწმენით ვითამაშებთ. კარგად ვიცით, რომ ერთ კონკრეტულ შეხვედრაში მსოფლიოს ნებისმიერი გუნდის დამარცხება შეგვიძლია."

მატჩისწინა პრესკონფერენციაზე რუდი ფიოლერი მხოლოდ ზოგადი ფრაზებით შემოიფარგლა. მერე კი თქვა, ამერიკელთა დაცვას ნაპრალები აქვს და ამისი მეიმედება, ხოლო მეტოქის თავდასხმა ძლიერიაო.

ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ ამერიკელთა ფორვარდ კლინტ მეტისით მიუნხენის „ბაიერნია" დაინტერესებული და შედგება თუ არა ტრანსფერი, ჩემპიონატის დამთავრებისთანავე გაცხადდება.

გერმანიაში კი ოხუნჯობენ, ამერიკას აშარჟებენ და თავიანთ ეროვნულ გუნდს სასწაულად ამხნევებენ. აი, რას წერს გაზეთი „ბილდი" — ჩვენ ვიცით, რომ ამერიკელები ბეისბოლს და ჰოკეის თამაშობენ, მაგრამ ამერიკა და ფეხბურთი ისე ჟღერს, როგორც ციგურაობა უდაბნოში. ფეხბურთის თამაში კეტის ქნევა არ არის. ნახევარფინალში გასვლა ამერიკელებისთვის იგივე იქნება, რაც მათთვის მთვარეზე ასვლა იყო."

ამის შემდეგ „ბილდმა" იკითხა — როგორ უნდა გახდეს ამერიკელი ბიჭი ფეხბურთელი? ამ შეკითხვის პასუხად გერმანული გაზეთი ამერიკელთა მეკარის ბრედ ფრიდელის ნაამბობს იშველიებს: „ძალიან ტანმორჩილი ვიყავი იმისთვის, რომ კალათბურთელის კარიერაზე სერიოზულად მეფიქრა და ფეხბურთს მივაღექი."

გერმანელები დიეგო მარადონას ნაუბარმაც ალაფრთოვანა. დიდი არგენტინელი საინტერვიუდ შვეიცარიულმა გაზეთმა, გერმანულენოვანმა BLICK-მა მოიხელთა. ეს გამოცემა გერმანიაშიც ვრცელდება და ცხადია, მასზე ხელი ყველა გერმანელს მიუწვდება. „გერმანელების დამარცხება თითქმის შეუძლებელია — ამბობს დიეგო — გერმანელი ფეხბურთელების ქმედება მექანიკური და წინასწარ ცნობილია, მაგრამ მიუხედავად ამისა, გერმანია გუნდების უმეტესობისთვის გადაულახავი ბარიერია. ოლივერ კანზე კი მოგახსენებთ, ის თანაგუნდელებს რწმენას სძენს და შთააგონებს იმ აზრსს, რომ გამარჯვებისთვის მხოლოდ ერთი გოლის გატანა საკმარისი არ არის."

მარადონას გერმანელთა დაცვის ხაზზეც დაეკითხნენ და დიეგომ წარსული გაიხსენა: „იტალიის ჩემპიონატი იყო თუ გერმანიის ნაკრების წინააღმდეგ მატჩი, ზუსტად აღარ მახსოვს, ის კი არ დამვიწყებია, რომ მე მაპირისპირდებოდა ტანკი, რომელსაც ბრიგელი ერქვა. ვგონებ, ის მაგალითია ყველა გერმანელი მცველისთვის" — შეგახსენებთ, რომ ათლეტური ჰანს-პეტერ ბრიგელი ერთი პერიოდი იტალიურ „ვერონაში" თამაშობდა, ფეხბურთელობამდე კი ათჭიდით იყო გატაცებული.

დიეგო არმანდომ ფიოლერის გერმანელი შუახაზელებიდან იენს იერემისი და მიხაელ ბალაკი გამოარჩია, მერე კი, გერმანიაში ახლადგაკერპებულზეც თქვა: „ჰაერში მიროსლავ კლოზე მბრძანებელია. და საერთოდ, თავით თამაშში და ორთაბრძოლებში გერმანელები დაუჯაბნელი ოსტატები არიან."

და კიდევ აღრეც გაუწყეთ, რომ გერმანიის საფეხბურთო კავშირი აპირებდა თხოვნით მიემართა ფიფასთვის, რამდენიმე დღის წინ გარდაცვლილი ფრიც ვალტერის ხსოვნის პატივსაცემად ნაკრების ფეხბურთელებისთვის დღევანდელ მატჩში შავი სამკლავურით თამაშის ნება დაერთოთ.

ფიფა გერმანელთა თხოვნას დათანხმდა.

**დავით თავართქილაძე**



ჰანს-პეტერ ბრიგელი მარადონასთვის, იდეალური მცველი იყო





ოლივერ კანისგან განსხვავებით ბრედ ფრიდელი ფეხბურთში შემთხვევით მოხვდა

# ნაციონალური მოძრაობა ანის წინააღმდეგ

## ბაირონის შაირი: სულ ეგა ხარ ვიერი?! ერი დარჩა მშიერი







*„რას ბავშვობ მანდ?“ — ასე, თუ დაახლოებით ასე შეუთვალა იტალიური „პერუჯას“ პრეზიდენტ ლუჩანო გაუჩის კორეის ნაკრების ჰოლანდიელმა თავკაცმა გუს ჰიდინკმა, როდესაც შეიტყო, რომ იტალიელი თავის კორეელ ფეხბურთელს, იუნგ-ჰვან ანს სამსახურიდან ანუ კლუბიდან დათხოვნას უპირებს.*

**სინიორ გაუჩის** განრისხების მიზეზს, ალბათ, იოლად ხვდებით: სწორედ იუნგ-ჰვან ანი გახლდათ ის, ვინც იტალიის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის მერვედფინალური მატჩის დამატებითი დროის მიწურულს „ოქროს გოლი“ გაუტანა და შეჯიბრიდან გამოთიშა.

„კაცმა უპირველეს ყოვლისა, სპორტზე უნდა იფიქროს, სპორტი კი მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან შეკრებილ მოთამაშეებს ნიშნავს — გაწყრა ჰიდინკი — ინგლისი რომ საფრანგეთს შეხვდეს, რა გამოდის, ფრანკ ლებეფმა კუთხურის დროს ინგლისელების საჯარიმოს არ უნდა მიაშუროს? ამაზე ლაპარაკი სასაცილოა.“



ფრანჩესკო ტოტი და იტალიური პრესა ლაღობის ხასიათზე არ არიან

ფიფა კი, როგორც ჩინოვნიკურ-დიპლომატიური ორგანიზაცია საკითხში არ ერევა. მისმა მაღალჩინოსანმა კეიტ კუპერმა განაცხადა, რომ ეს ფეხბურთელსა და კლუბს შორის ურთიერთობის საკითხია, რომელიც ამ ორმა მხარემ თავად უნდა მოაგვაროს.

„ჩვენთან არავის უჩივლია“ — თქვა კუპერმა.

შეგახსენებთ, რომ კორეელთა მიერ „სკუადრა ადურას“ დამარცხებამ იტალიაში ეკვადორელი მსაჯის ბაირონ მორენოს საწინააღმდეგო განწყობილება წარმოშვა. რეპორტაჟის დროსაც კარგად ჩანდა, როგორ დაიძაბა ატმოსფერო საკუთრივ სტადიონზე: როდესაც მორენომ მოედნიდან ფრანჩესკო ტოტი გააძევა, კადრში იტალიელთა განრისხებული მწვრთნელი ჯოვანი ტრაპატონი გამოჩნდა, რომელმაც სათადარიგოთა სკამის უკან აღმართულ პლასტიკატის კედელს მუშტი ჩასცხო, რითაც კედლის უკან მდგომი ფიფას წარმომადგენლის მიმართ თავისი დამოკიდებულება გამოხატა.

შემდეგ, როდესაც დამარცხებული გუნდი კორეას ტოვებდა, ადგილობრივი პრესის ინფორმაციით, აეროპორტში მისულმა ფეხბურთელებმა იქაურ გულშემატკივრებს ავტოგრაფები არ დაურიგეს.

ახლა კი დავუბრუნდეთ „პერუჯას“ პრეზიდენტ ლუჩანო გაუჩის, რომელმაც ასე ბრძანა:

„ანმა ფენომენალურად მხოლოდ ერთხელ ითამაშა — იტალიის წინააღმდეგ. ამიტომ, მე, როგორც ნაციონალისტი მის საქციელს მხოლოდ ჩვენი თავმოყვარეობის შელახვად კი არ მივიჩნევ, არამედ, აგრესიად იმ ქვეყნის წინააღმდეგ, რომელიც ორი წლის წინ ხელგაშლილი შეეგება. არ ვაპირებ ხელფასი ვუხადო კაცს, რომელმაც იტალიურ ფეხბურთის დანგრევა განუზრახა.“

ანი „პერუჯაში“ კორეიდან 2000 წელს გადავიდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში დიდი გაჭირვებით ხვდებოდა. აქვე აღსანიშნავია, რომ მის „პერუჯადან“ შესაძლო გაშვებაზე ჯერ კიდევ მსოფლიოს ჩემპიონატამდე წერდა იტალიური პრესა. ამბობდნენ, რომ კორეელი თავდამსხმელით რამდენიმე ინგლისური და გერმანული გუნდია დაინტერესებული.

ამასობაში, მთელი იტალიის მიერ დაწყევლილი ეკვადორელი მსაჯი თავის უდანაშაულობაზე ლაპარაკობს:

„იტალიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატიდან რომ გავარდა, ჩემი ბრალი არ არის. ბრალი თავად ფეხბურთელებს მიუძღვით, რომელთაც საჭირო რაოდენობის გოლი ვერ გაიტანეს, კრისტიან ვიერიმ კი სულაც ორი მეტრიდან ააცილა კორეელთა კარს.

ვერ გამიგია, რას მერჩიან. მე მათთან პრობლემა არ მქონია. პრობლემა ის არის, რომ იტალიის ნაკრებს ყველა ფავორიტად მიიჩნევდა, მაშინ, როდესაც ეს გუნდი პირველივე დღიდან პრობლემების გადალახვას ვერ ახერხებდა. ტოტის გაძევებაზე კი იმას გეტყვით, რომ სიმულაცია აშკარად თვალში საცემი იყო. იგივე დამტკიცდა ვიდეოგამეორების დროსაც, როცა ეს ეპიზოდი ფიფაში გაარჩიეს. ტოტი მანამდე დაეცა, სანამ კორეელი მცველი წამოედებოდა, ასეთ დროს კი, წესის თანახმად, ფეხბურთელი უნდა გააფრთხილო. სწორედ ასე მოვიქეცი. და, რა ხდება, როდესაც ფეხბურთელი მეორე ყვითელ ბარათს იღებს? მას მოედნიდან აძევებენ.“

დამიანო ტომაზის არჩათვლილ გოლზე საუბარს მორენომ თავი აარიდა.

შემდეგ ჟურნალისტებმა ეკვადორელ მსაჯს ჰკითხეს, აპირებთ თუ არა, ოდესმე იტალიის ნაკრების თამაშის გაძლოლასო, რაზეც მან ხელები გაასავსავა: ასეთი აზრი წამითაც არ მომივა თავშიო.

ხოლო ფიფამ ბაირონ მორენო აღარ შეიყვანა იმ 16 არბიტრის სიაში, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატის დარჩენილ შეხვედრები უნდა განსაჯონ.

ოღონდ, ნუ ვიფიქრებთ, რომ ბაირონ მორენოს დედამიწის ზურგზე მხარდამჭერი არავინ ჰყავს. მთელი ეკვადორი მის გვერდითაა.

„ბაირონ მორენომ თავისი საქმე გააკეთა — წერდა „ელ უნივერსი“ — მტკიცე და აუღელვებელმა მსაჯმა დაამტკიცა, რომ ფეხბურთის წესებს კარგად იცნობს და მოედანზე უწესრიგობები არ დაუშვა.“

შემდეგ სტატიაში ეწერა: „მორენოს იტალიელთა დასჯის და ფრანჩესკო ტოტის გაძევების სრული უფლება ჰქონდა.“

ხოლო „ელ კომერსიო“ ღაღადებდა: „მორენო ყველა მიმართულებით დარბოდა და ყველაფერს ხედავდა. მისი მაღალი კვალიფიკაცია ტოტის გაგდების დროს დამტკიცდა.“

**ბაჩუნა ძიძია**




და ბოლოს, ერთხელაც: რა ხდებოდა და რა ხდება იტალიაში? იტალიაში მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კვლავ მსაჯობით არის აღშფოთებული, თუმცა, გამოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც ბრალი უფრო მეტად ჯოვანი ტრაპატონის დასდეს. აი, ის ძირითადი ათი ბრალდება, რომელსაც ბებერ მაესტროს უყენებენ:



1. რობერტო ბაჯოს მსოფლიოს ჩემპიონატზე არწაყვანა.
2. მასიმო ამბროზინის მსოფლიოს ჩემპიონატზე არწაყვანა — პირველივე თამაშის შემდეგ დი ბიაჯო განზე დარჩა, ასეთ დროს კი ამბროზინის იქ ყოფნა მისწრება იქნებოდა.
3. კრისტიანო დონი და ალესანდრო დელ პიერო უჩვეულო ფუნქციებს ასრულებდნენ.
4. დაცვაში ამდენი ცვლილება საჭირო არ იყო, ხოლო მატერაცის თავის გამოჩენის საშუალება არ მისცეს.
5. რა საჭირო იყო მარკო დელვეკიოს მსოფლიოს ჩემპიონატზე წაყვანა?
6. კორეასთან შეხვედრაში დელ პიერო ჯენარო გატუზოთი არ უნდა შეეცვალათ. მიზეზი: ამ ცვლილებიდან წუთის შემდეგ ჰიდინკმა თავის გუნდს კიდევ ერთი თავდამსხმელი დაამატა.
7. რატომ არ შევიდა კორეასთან შეხვედრაში ვინჩენცო მონტელა?
8. რატომ ათამაშებდნენ ჯიუტად პაოლო მალდინის?
9. ჯანლუკა ძამბროტამ ბევრი შეცდომა დაუშვა, ის კი მაინც მოედანზე იყო.
10. გუნდის სქემა სულ იცვლებოდა, ანუ იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ნაკრებს ტაქტიკა არ ჰქონდა.

# არგენტინული ოცნების სასაფლაო
## ბიელსა მსხვერპლად მიიყვანეს


ხოსე პეკერმანი (მარცხნივ) და ხულიო გრონდონა, ალბათ, ხელი ხელს დაჰკრავენ

**ფესია** — დამარცხდი? უნდა წახვიდე. არგენტინაში ჩასულ მარსელო ბიელსას, ალბათ, მალე შეცვლიან. მისი კონტრაქტი ფედერაციასთან 30 ივნისს იწურება. ეს ოფიციალურად, ისე კი ბიელსას შემცვლელის ძებნა ინგლისთან მარცხის შემდეგ დაიწყს.

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას სამი კანდიდატი შეურჩევია. კარლოს ბიანკი, ხოსე პეკერმანი და ოსკარ რუჯერი. ბიანკის საკლუბო გამარჯვებების ამბავი საქვეყნოდ ცნობილია. ხოსე პეკერმანმა შარშან ჭაბუკთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონობამდე მიიყვანა. ოსკარ რუჯერის მარადონას გვერდით უთამაშია და მსოფლიოს ჩემპიონიც გახლავთ.

ფედერაციის პრეზიდენტი ხულიო გრონდონა აცხადებს, უცხოელი სპეციალისტის მოწვევას არ ვაპირებთო. გრონდონა სამთაგან პეკერმანისკენ იხრება და მასთან საუბარიც დაუგეგმავს: „ხოსე პეკერმანს აუცილებლად გავესაუბრები. ვეცდები, დავიყოლიო. თუ თანხმობას განაცხადებს, აღმასრულებელ კომიტეტს შევკრებ და საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ."

ამჟამად პეკერმანი ეროვნული გუნდისთვის ფეხბურთელების შერჩევით არის დაკავებული.

მეორე კანდიდატ ოსკარ რუჯერის, ნაკრების მაისურა 98-ჯერ მოურგია და სამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა. მას არგენტინულ „სან ლორენსოში" უმუშავია, ბოლოს კი მექსიკის „გვადალახარას" წვრთნიდა.

„არგენტინის მთავარი გუნდის მწვრთნელობაზე თანახმა ვარ — თქვა რუჯერიმ — მსურს, ჩემი ცოდნა ნაკრებს მოვახმარო. ჩვენ ბრწყინვალე მოთამაშეები გვყავს, შედეგი კი არ ჩანს. არგენტინას ძველი დიდება უნდა დაუბრუნდეს."

სამშობლოში რამდენიმე დღით ხუან სებასტიან ვერონი ჩასულა. ინტერვიუში ვერონმა უიღბლობაზე დაიჩივლა: „იღბალმა ზურგი გვაქცია, არადა, შესარჩევ ეტაპზე ის ყოველთვის გვერდით გვედგა. არგენტინა აღარ ჰგავდა საკუთარ თავს, რომელმაც ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რიხით გაალწია. თავდაუზოგავად ვმუშაობდით, მაგრამ ფეხბურთში ასეთებიც ხდება, ამიტომ წარუმატებლობა, როგორც ფაქტი ისე უნდა მივიღოთ."

სხვათა შორის, ჯერ კიდევ აზიაში ყოფნისას გახმაურდა უსიამოვნო ამბავი, თითქოს ხუან ვერონსა და დიეგო სიმეონეს შორის შელაპარაკება მოხდა. უფრო მეტიც, საქმე ხელჩართულ ბრძოლამდეც მისულა. ვალენსიელი მცველი რობერტო ფაბიან აიალა კი ამტკიცებს, მსგავსი არაფერი ყოფილაო: „სამწუხაროა, როცა ფაქტებს ამახინჯებენ. გუნდში არეულობა არ მომხდარა. ჩვენ ძალიან ძნელად გადავიტანეთ წარუმატებლობა, რადგან ისეთი ფეხბურთელები გვყავს, რომლებსაც ისტორიის შექმნა შეეძლოთ. ბოლოს მხოლოდ დამსხვრეული ოცნებები შეგვრჩა."

**ვაჟა ხუციშვილი**

# სიტყვა სიტყვაა
## კატანეცმა ეპოქა დაასრულა

**სლოვენიურ** ფეხბურთში სრეჩკო კატანეცის ოთხწლიანი ოქროს ეპოქა დასრულდა. მოგეხსენებათ, მან ქვეყანაში, სადაც განსაკუთრებული პოპულარობით კალათბურთი და თხილამურობა სარგებლობდა, ფეხბურთი მთავარ სახეობად აქცია.

ისიც გეხსომებათ, კატანეცმა ადრევე თქვა, ზლატკო ზაჰოვიჩთან გაუთავებელი ჩხუბი მომბეზრდა და მუნდიალის დასრულებისთანავე დავტოვებ გუნდსო. „ნაკრებს 47 თამაშში ვუხელმძღვანელე, აქედან 18-ჯერ მოვიგეთ, 16-ჯერ ფრეს მივაღწიეთ და 13-ჯერ დავმარცხდით. ჩემი გუნდის გამოსვლით კმაყოფილი ვარ. სლოვენიის ნაკრები ფორმის პიკზე კი ევროპის ჩემპიონატის დროს იყო."

კატანეცმა მუნდიალზე სლოვენიელთა უსუსური თამაში გუნდის წამყვანი ფეხბურთელების კლუბებში სათადარიგოთა სკამზე ხშირი ყოფნით ახსნა და დასძინა: „სლოვენიური მედია ჩვენ არარეალურ წარმატებას გვთხოვდა, ამ დროს არავინ ფიქრობდა, როგორ ფორმაში იყო ნაკრების თითოეული მოთამაშე."


სრეჩკო კატანეცმა ხელები დაიბანა

# ნიგერიამ, ევროპულად გაფრინდეთო

**მუნდიალზე** ნიგერიელთა არშემდგარმა სუპერარწივობამ იქაური ფეხბურთის ფედერაციის მესვეურებს უცხოელი სპეციალისტის მიწვევა გადააწყვეტინა. გუნდმა პირველად ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატზე ნიგერიელის თავკაცობით და ჯგუფში ბოლო ადგილი დაიკავა მაშინ, როცა 1994 წელს დებიუტანტმა ჰოლანდიელი კლემენს ვესტერჰოფის მეცადინეობით ადმირალით ჩაამთავრა ჯგუფური ეტაპი და მერვედფინალში გმირულად დაეცა „სკუადრა ადზურასთან".

ნიგერიელებმა ოთხი წლის შემდეგ ლეგენდარული ბორა მილუტინოვიჩის ხელშიც იგივე შედეგი გაიმეორეს.

იქაური პრესა კი ამრეზით უყურებს ფედერაციის გადაწყვეტილებას და „ძალლის თავს" ფეხბურთისადმი მთავრობის ბოლოდროინდელ ცივ დამოკიდებულებაში ხედავს. განსხვავებულ აზრზეა ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტი ფემი ოლუკანიმი: „ადეგბოიე ონიგბინდეს სულ მცირე, ერთი წელი რომ ჰქონოდა გუნდის მოსამზადებლად, დარწმუნებული ვარ, „სუპერარწივები" არ შერცხვებოდნენ."

შეგახსენებთ, რომ აფრიკის თასზე უსახური თამაშის შემდეგ ნიგერიის ნაკრების მწვრთნელი ამადუ შაიბუ შეცვალეს და მუნდიალამდე სამი თვით ადრე ადეგბოიე ონიგბინდე დანიშნეს.

ფედერაციის მდივანი ნიგერიის ფეხბურთის ასოციაციის მალალჩინოსანი ჩივე კაავე კი ამბობს: „ჩვენ გზა უნდა გავუხსნათ უცხოელ მწვრთნელს, ისეთს, როგორიც კლემენს ვესტერჰოფი იყო."

აზრთა სხვადასხვაობაა ნიგერიელ ფეხბურთელებშიც. ჯეი-ჯეი ოკოჩას და ტარიბო ვესტს ევროპელი მწვრთნელი სურთ, ხოლო ჯულიუს აგაოვა და სელესტინ ბაბაიარო თვისტომელს ითხოვენ. ნიგერიის ფეხბურთის ფედერაცია ამ კვირაში შეიკრიბება და გადაწყვეტილებასაც მიიღებს.


ადეგბოიე ონიგბინდე

**ზურაბ რუხაძე**

# ამბავ-ხაბარი

**ურუგვაის** ნაკრების 30 წლის ფორვარდმა დარიო სილვამ ნაკრებში კარიერის დამთავრება გადაწყვიტა. „ძალიან დავიღალე, რადგან ნაკრებში თამაში ყოველთვის დიდ ძალას მოითხოვს. ახლა დროა, ადგილი ახალგაზრდებს დავუთმო" — უთხრა სილვამ ურუგვაელ ჟურნალისტებს. თავდამსხმელმა ნაკრებში 1994 წლის მერე 39 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა.

**იაპონიის** საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლების აზრით, მსოფლიოს ჩემპიონატზე საუკეთესო გულშემატკივრები ირლანდიელებს ჰყავდათ. „ვფიქრობ, ირლანდიელი ფანობა საუკეთესო იყო. ძალიან სამწუხაროა, რომ მათი ნაკრები ტურნირს გამოეთიშა" — განაცხადა კომიტეტის დირექტორმა იუნჯი ოგურამ.

**გერმანიის** ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" მცველი, 32 წლის თომას ლინკე, რომელიც მუნდიალის დამთავრების მერე ნაკრებიდან წასვლას აპირებდა, სხვაგვარად ალაპარაკდა. „თუ მსოფლიოს ჩემპიონები გავხდებით, ეროვნული გუნდიდან აღარ წავალ" — განუცხადა ლინკემ მწვრთნელებს. აღსანიშნავია, რომ აშშ-თან მატჩში ლინკე 39-ედ მოირგებს გერმანიის ნაკრების მაისურას.

**სენეგალის** ნაკრების ფრანგმა მწვრთნელმა ბრუნო მეტიუმ ფრანგული „სედანის" წინადადება არ მიიღო. საერთოდ მეტიუს სენეგალის ნაკრების წარმატებასთან ერთად მსურველებიც გეომეტრიული პროგრესიით ემრდება. თავად მწვრთნელის თქმით, მას ორ ეროვნულ გუნდში იწვევენ, თუმცა, ამ ქვეყნების დასახელება ჩემგან არაკორექტულობა იქნებაო. „ჯერჯერობით მხოლოდ თურქეთთან მეოთხედფინალზე ვფიქრობ" — თქვა სენეგალის ნაკრების მწვრთნელმა. სხვათა შორის, მეტიუს გადაბირება თურქულ „გაზიანთეფსპორსაც" მოსურვებია.

**იაპონიის** ნაკრების ნატურალიზებულმა ბრაზილიელმა ალექსმა ევროპაში თამაშის სურვილი გამოთქვა. ალექსი იაპონიაში 1994 წელს ჩავიდა, როგორც სტუდენტი. შემდეგ ფეხბურთში მოსინჯა ძალა და 1997 წლიდან „შიმიცუს" შემადგენლობაშია. 2000 წელს იაპონელმა ბრაზილიელმა აზიის თასების მფლობელთა თასი მოიგო. 24 წლის ალექსის თქმით, დიდი სიამოვნებით გააგრძელებდა კარიერას იტალიაში ან ესპანეთში.

**კორეის** ნაკრების მწვრთნელი გუს ჰიდინკი შესაძლოა, პორტუგალიის ნაკრების თავკაცად მოგვევლინოს. ჰოლანდიური პრესის ინფორმაციით, ჰიდინკს დიდი არჩევანი აქვს, პორტუგალიის გარდა მას სამშობლოშიც იწვევენ პსვ-ში სამუშაოდ. თავად მწვრთნელის გეგმები ჯერ არავინ იცის. ჰოლანდიური გაზეთებისავე ცნობით, არც ისაა გამორიცხული, რომ ჰიდინკი კორეაში დარჩეს.

**რუსეთის** ეროვნული გუნდის ფეხბურთელების ბინებს მილიცია დაიცავს. რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით, მსოფლიოს ჩემპიონატიდან ნაკრების გავარდნით გამწარებული გულშემატკივრებისგან ფეხბურთელთა დაცვა აუცილებელია. როგორც მილიციისთვის გახდა ცნობილი, რადიკალურად განწყობილი ფანები შესაძლოა, ფეხბურთელებს სახლებშიც კი შეუცვივდნენ.

**ირლანდიის** ფეხბურთის ასოციაციის გენერალური მდივნის ბრენდონ მენტონის განცხადებით, გუნდიდან დათხოვნილი როი კინი ირლანდიის ნაკრების მაისურას ველარასოდეს მოირგებს. მისი თქმით, მსოფლიოს ჩემპიონატზე ირლანდიამ დაამტკიცა, რომ კინის გარეშეც შეუძლია კარგად თამაში.

# იუბილარი

ახმახი ჩინელი მეკარე ან კი, ვინც მიწას 192 სანტიმეტრით ასცდენია, უთამაშებლად გაემგზავრა მსოფლიოს ჩემპიონატიდან. ისე, ჩინელებს რომ დაცვა ჰყავდათ, რჩეული მეკარე ჯიან ჯინისავით ცხრა გოლის გაშვებას, ვგებ, უთამაშებლობა სჯობდა.

ბორა მილუტინოვიჩმა შარშან ის არგენტინაში, ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატზე წაიყვანა და კმაყოფილიც დარჩა — ბიჭს ბურთის შიში აღარ აქვსო.

ან კი ნიჭიერ მეკარედ ითვლება და ბებერი ჯინის შეცვლა, ალბათ, მალე მოუწევს. ჯერჯერობით კი ხუთ სანაკრებო მატჩს დაყაბულებულა.


**ან კი**
**(ჩინეთი) 21.06.1981**



ქირავდება აგარაკი კოჯორში

წაიყვანეთ ბავშვები,
უკეთეს ადგილს სად ნახავთ
ფასი არ შეგაშინებთ
ტ: 899 91-66-11; 29-35-80 (საღამოს)

მსოფლიოს ჩემპიონატის დღიური 20 ივნისი გია ახვლედიანი

*სიმართლე რომ ვთქვა, მკითხველთა უმეტესობა გაზეთს დილით ყიდულობს. ეს ჩემპიონატი კი დროის ისეთ სარტყელში მიმდინარეობს, რომ კაცი გაზეთის ხეირიანად წაკითხვასაც ვერ ასწრებს. გადაფურცლავს და თამაშიც დაიწყება. სხვა დღეებში ეგებ შეიძლებოდა კიდეც ცალი თვალის გაშლილ გაზეთში ჩაკოვება და ცალით ფეხბურთის ცქერა, მაგრამ პარასკევს ეს საქმე არ გამოვა, რადგან პარასკევი დიდი თამაშით იწყება.*

# დაღლილნი და დასვენებულნი
# გრძნობათა მუნდიალი



ბრუნო მეტიუს სენეგალელები უგუნებოდ ყოფილან



მეოთხედფინალში გასულ ამერიკელებს საქომაგოდ ცოლ-შვილმა ჩააკითხა

**მეოთხედფინალში** ოთხი კლასიკური წარმოშობისა და ოთხიც ახალთაობის გუნდი გავიდა. საქმე ისე აეწყო, რომ ოთხეულში აუცილებლად ხვდება ერთი ახალთაობელი. ეგებ მეტიც ხვდება, მაგრამ ერთი ნამდვილად, რადგან თურქეთი და სენეგალი ერთმანეთს დაეჯახებია, ინგლისი და ბრაზილია კი ერთმანეთს. იქეთ გერმანია და ამერიკა იბრძოლებენ, ესპანელებს კი კორეელები გადაუდგომიან წინ.

პროგნოზი უმადური საქმეა და კაცი უნდა მოერიდოს კიდეც პირდაპირ პროგნოზებს. თუ, რა თქმა უნდა, ხელში ტოტალიზატორის ქვითარი არ უჭირავს და ფეხბურთი იმდენად სჭირდება, რამდენადაც დოლში ვერ ერკვევა, მაგრამ ერთგვარი წინასწარი აწონდაწონვა და მოსალოდნელი ამბების წარმოსახვა საინტერესოც კია, რადგან მერე ცოცხალ ამბავს, ანუ თამაშს წარმოსახვას შეადარებ და სხვა თუ არაფერი, გამოცდილება შეგემატება ფეხბურთის საკითხებში.

რა პრობლემები უნდა ჰქონდეთ გუნდებს მეოთხედფინალების წინ? ზოგადგუნდურ პრობლემებს ვამბობ, თორემ ტრავმიანი კაცი არავის გამოელევა.

მთავარი პრობლემა, ალბათ, დაღლილობაა. არა ფიზიკური დაძაბუნება, არამედ, მოქანცულობა, რაც გუნდს ცინცხალ, თავშენახულ და მოქნილ იერს უკარგავს ხოლმე.

ამბობენ, რომ განსაკუთრებით ის გადაიღლებოდა, ვისაც დამატებითი დროის, ოქროს გოლისა და პენალტების მოშველიებით მოუხდა მეოთხედფინალში გასვლა. ამას, ცხადია, ნერვების მოშლაც ემატება, რადგან, რაც უნდა პროფესიონალი იყო, ზეგავმიური მუშაობა მაინც დაღს ასვამს შენს განწყობას. სულ თითებზე ჩამოსათვლელია ისეთი ფეხბურთელები, რომლებსაც ამგვარი რამ არაფრად ულირთ.

ჩემპიონატის ალმოჩენას, სენეგალის ნაკრებს დასასვენებლად და ამოსასუნთქად გვარიანი დრო ჰქონდა, ამის მიუხედავად, გუნდს პრობლემები გასჩენია.

აფრიკელთა მწვრთნელი ბრუნო მეტიუ ჩემპიონატის განმავლობაში პირველად ალაპარაკდა პრობლემებზე.

„კვირის დასაწყისში პირველად შევეყარეთ სიძნელეებს — ამბობს მწვრთნელი სამშაბათ დილით ბიჭები უხალისოდ წამოიშალნენ და ნახევარი გუნდი არც კი გამიყვანია ვარჯიშზე. ჩვენი ყველა თამაში ამ ჩემპიონატზე გრძნობებით იყო სავსე. როცა იფიტები, გრძნობაც ჩლუნგდება, ჩვენ გუნდს კი არაფერი შეუძლია გრძნობების გარეშე. ამიტომ, ახლა ამ პრობლემის მოგვარებით ვარ დაკავებული".

სენეგალის გუნდში დაგროვილა მცირე ტრავმებიც.

აფრიკელთა ამბავი უბრალოდ მაგალითად მოვიყვანეთ, როგორც ყველაზე თვალსაჩინო, თორემ მეტ-ნაკლებად ამგვარი რამე-რუმეები ყველა გუნდში გროვდება.

მსოფლიოს ჩემპიონატი არის ურთულესი ტურნირი. ყველაზე რთული დღევანდელ ფეხბურთში. მომავალმა ჩემპიონმა ჯგუფშიც მოგებისთვის უნდა იბრძოლოს და მერე, ზედიზედ ოთხი თამაში უნდა მოიგოს. არსად არ არის მეტოქეთა იმგვარი მრავალფეროვნება და სტილთა სხვადასხვაობა, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატზე. სხვაგან არსად თამაშობენ ასე ძლიერად და სხვაგან არსად სკდება ამდენი მოულოდნელი ამბავი და არსად გაცხადდება ხოლმე მწვრთნელთა საიდუმლოებანი.

ამიტომ, მსოფლიოს ჩემპიონი ნამდვილი გმირია.

ის ერთი თვე, რომელსაც გუნდები მსოფლიოს ჩემპიონატზე ატარებენ, თავისი შინაარსით და დაძაბულობით სეზონებს გადასწონის. ამიტომაა სისულელე მსოფლიოს თასის ორ წელიწადში ერთხელ გათამაშება.

მაგრამ დავუბრუნდეთ დაღლილობას და შევხედოთ შედარებით დასვენებულ გერმანელებს და ამერიკელებს. ამერიკის ნაკრებს დაღლილობა საერთოდ არ ეტყობა და მგონია, რომ ამ გუნდზე უფრო ხმამაღლა ვილაპარაკებდით, პოლონელებთან რომ არ წაეგოთ. ამერიკა სახიფათო გუნდია, მაგრამ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ის სერიოზული გუნდია, რომელსაც, რა თქმა უნდა, მიზნად არ დაუსახავს მსოფლიოს ჩემპიონობა, მაგრამ, იმგვარად განწყობილიც არ არის, რომ მაქსიმუმი გააკეთა და შინ ბედნიერი გაემგზავრება. საერთოდ, ეს საკვირველი მომენტია ამ ჩემპიონატში: არავინ ფიქრობს, რომ მაქსიმუმი გააკეთა და ისე მიდის. ირლანდიელებიც კი, რომლებსაც შინ გრანდიოზული დახვედრა მოუწყვეს, ამბობდნენ, მეტისთვის ვიყავით მზადო. ძველი დრო, როცა გუნდებმა მშვენივრად იცოდნენ თავიანთი ზედა ზღვარი და დიდად არც ნაღვლობდნენ გავარდნას, წასულია.

ამერიკელებს კი ბევრი რამ შეუძლიათ. ამ ჩემპიონატზე როგორღაც ცოტას ლაპარაკობენ გერმანიის ნაკრებზე. ალბათ, იმიტომ, რომ, როცა გერმანელები იგებდნენ, იგებდნენ შთამბეჭდავად. იგებდნენ დაუვიწყარ მატჩებს და ყოველთვის ძალიან ბევრი ვარსკვლავი ჰყავდათ. გერმანელები ვარსკვლავებით და მწვრთნელთა დიდი სიბრძნით ვერ დაიკვეხნიან, მაგრამ ორი გადამწყვეტი თამაში მოიგეს და წინ მიდიან. სხვა საკითხია, რომ გერმანელთა ზურგსუკან დიდი ძალმოსილება არ იგრძნობა, მაგრამ ქვეყანა, სადაც ნაკრები ნამდვილი კულტია, ყოველთვის გამარჯვებას ითხოვს და ახლაც, გერმანელები წინ მიიწევენ. ამერიკელებთან მათი შანსი მათი საერთო კლასი და უტეხობაა. საეჭვოა, რუდი ფილერმა რაიმე ახალი გამოიგონოს. გერმანიას უყვარს, როცა თავად კარნახობს ხოლმე მოწინაალმდეგეს თამაშის პირობებს, მაგრამ ამ ჩემპიონატზე გერმანია სულაც არ კარნახობს იმას, რასაც მივეჩვიეთ. გერმანიას სათამაშო აგრესია აკლია. ამ კვირაში შედარებით დასვენებული კი ჩანს, მაგრამ გერმანია ზოგადად მოქანცული, ფრთხილი გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო აქამდე.

ამერიკელებს სათამაშო აგრესია არ აკლიათ, მაგრამ ყველაზე ნაკლებად, რაც უყვართ და გამოსდით, საკუთარი საჯარიმოს მისადგომებთან ტრიალი და მასირებული შეტევებისგან თავდაცვაა. ეს ერთგვარად ამერიკული საფეხბურთო ლიგის ერთგვარი სტილიცაა, იქ ერთი გუნდი არასოდეს „შეაჯდება" ხოლმე მეორეს და დაცვაც ძალიან ფარღალალაა. ამერიკელები ბევრ გოლს უშვებენ. მექსიკელებთან თავი გადაირჩინეს, მაგრამ ისევე, როგორც გერმანელები, ისინიც სწრაფი, ფლანგური შეტევებით ილებენ მოწინაალმდეგის კარს. ამერიკა წარმატებას გაშლილ თამაშში ეძიებს და ლამის მექანიკურად, მაგრამ ძალიან ზუსტად ასრულებს კომბინაციებს.

ჩვენ ვნახეთ, როგორ თამაშობს ამერიკა, როცა აგებს. ამიტომ, ამერიკელთათვის ლამის გადამწყვეტი შეიძლება გამოდგეს პირველი გოლი. ამ ჩემპიონატში გერმანიას ჯერ არ დასჭირვებია თამაშის შემოტრიალება. ესეც ძალიან საინტერესოა.

მოკლედ, ფინალამდე ფინალი დიდი მატჩია, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა პარასკევის მეორე მეოთხედფინალიც. თორემ, ისე ხდება ხოლმე, რომ ერთი მატჩის წინასწარ ხმაური ყველაფერს ფარავს.



საგანგებო ლოზუნგი
დაისვენე, წინ დიდი გზაა!




# მსოფლიოს ოცნება

ფიფამ თავის ვებ-გვერდზე კიდევ ერთი გამოკითხვა ჩაატარა, რომლის მიზანი მსოფლიოს ჩემპიონატებზე მოთამაშე გამორჩეული ფეხბურთელებისგან „ოცნების გუნდის" შედგენა იყო. საინტერესოა, რომ ოქროს ნაკრებში ხუთი მოქმედი ფეხბურთელიც მოხვდა: რობერტო კარლოსი, რომარიო, მალდინი, რობერტო ბაჯო და ზიდანი. ხოლო დიეგო მარადონამ ხმების სიმრავლით კვლავაც აჯობა პელეს. ნაკრები კი ასეთი გამოვიდა:

მეკარე: ლევ იაშინი (სსრკ) — 24,587 ხმა
მცველი: ფრანც ბეკენბაუერი (გფრ) — 81,442
მცველი:პაოლო მალდინი (იტალია) — 58,523
მცველი: რობერტო კარლოსი (ბრაზილია) — 58,200
ნახევარმცველი: დიეგო მარადონა (არგენტინა) — 111,035
ნახევარმცველი: ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი) — 80,527
ნახევარმცველი: რობერტო ბაჯო (იტალია) — 55,625
ნახევარმცველი: მიშელ პლატინი (საფრანგეთი) — 53,783
თავდამსხმელი: პელე (ბრაზილია) — 107,539
თავდამსხმელი: იოჰან კრუიფი (ჰოლანდია) — 53,645
თავდამსხმელი: რომარიო (ბრაზილია) — 29,480


ევროპის ათი ქვეყანა სამომავლოდ შეიკრიბა

# ევროპა წინ იყურება

**გუშინ** უეფაში ევრო 2008-ის მასპინძლობის მსურველმა ქვეყნებმა ოფიციალური განაცხადები შეიტანეს. საინტერესოა, რომ პრეტენდენტთაგან მხოლოდ რუსეთს და უნგრეთს სურთ ეულად ჩემპიონატის გამართვა, დანარჩენი კანდიდატები კი თავად განსაჯეთ: ავსტრია-შვედეთი, ბოსნია-ხორვატია, საბერძნეთი-თურქეთი და ირლანდია-შოტლანდია. არსებობს NORDIC 2008-ის განაცხადიც, რომელშიც დანია, ფინეთი, ნორვეგია და შვედეთი შედიან ფარერებისა და ისლანდიის მხარდაჭერით. საინტერესოა არა?

წინასწარი განაცხადები მასპინძლების მოსურნეებმა გუშინვე კი შეიტანეს, მაგრამ უეფამ მათ სთხოვა, საკუთარი პროექტები ჯერ არ წარედგინათ. პრეზენტაცია დეკემბერში მოეწყობაო, თქვა უეფას გენერალურმა მდივანმა გერჰარდ აიგნერმა. აგვისტოდან ოქტომბრამდე უეფას მოხელეები ყველა ქვეყანას მოინახულებენ, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილებას 12 დეკემბერს მიიღებენ.

**სოლომონ გულისაშვილი**

# არ დაიბნა ბაჭია კილი კარგი ბიჭია


ხავიერ სავიოლა და კილი გონსალესი, შესაძლოა, თანაკლუბელები გახდნენ



**„ბარსელონაში"** ლუის ვან გაალის მისვლის შემდეგ კარლოს რექსაჩი ერთი საფეხურით დაქვეითდა. ის ჰოლანდიელის თანაშემწეა. კლუბი ახალი ფეხბურთელების დამატებას და გაძლიერებას აპირებს. ვან გაალს გაისკა მენდიეტასთვის და კილი გონსალესისთვის დაუდგამს თვალი. ამჟამად მათი შეძენის ვარიანტებს განიხილავენ, თან არც ხუან რომან რიკელმა დავიწყებიათ.

ჰოლანდიელმა თქვა: „ჩვენ ცენტრალური ნახევარმცველები გვყავს, ამიტომ განაპირა ნახევარმცველები გვჭირდება. ასეთები არიან მენდიეტა და კილი გონსალესი. რიველდოს კი, ჯერ ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს გუნდთან და წასვლა-დარჩენა მასზეა დამოკიდებული".

კარლოს რექსაჩმა აღნიშნა, რომ „ბოკა ხუნიორსს" მხოლოდ რიკელმეს ფასის გასაგებად დაუკავშირდნენ. ერთი რამ ცხადია, ხუან რომანს თავად სურს არგენტინის დატოვება და არც კლუბია ფეხბურთელის გასხვისების წინააღმდეგი. მომავალ წელს რიკელმეს კონტრაქტის ვადა გასრულდება, ანუ თავისუფალი აგენტი გახდება. „ბოკა ხუნიორსი" ფეხბურთელის სანაცვლოდ ვეღარაფერს მიიღებს, ამიტომაც ცდილობენ ნიჭიერი მოთამაშის სარფიანად გაყიდვას.

არგენტინულ კლუბს პრიმერადივიზიონში აღზევებული მადრიდის „ატლეტიკოც" შეეხმიანა, ხესუს ხილი ხილი 13 მილიონ დოლარს გთავაზობთო. „ბოკა ხუნიორსის" პრეზიდენტს მაურისი მაკრის ჭკუაში არ დაუჯდა ეს წინადადება — რიკელმე გაცილებით ძვირი ღირსო. ზუსტად ამ ამბის შემდეგ „ბარსელონა" კვლავ დაინტერესდა ხუან რამონ რიკელმეთი.

ამასობაში, სამშობლოში გატარებული არდადეგების შემდეგ კატალონიაში ხავიერ სავიოლა დაბრუნდა. ის იყო, ტრაპიდან მიწაზე დადგა ფეხი, ჟურნალისტები ეკვეთნენ, რას იტყვი, კილი გონსალესი შენი თანაგუნდელი რომ გახდესო. „ბაჭიამაც" უპასუხა: „ღმერთმა ქნას, ეს გარიგება შედგეს, „ბარსელონასთვის" კილი უდიდესი შენაძენი იქნება და გუნდსაც გააძლიერებს. ის ჩინებული ფეხბურთელია, რომელსაც მინდორზე ყველაფერი შეუძლია. მე კი მსურს ასე, მაგრამ ბოლო სიტყვა მაინც მწვრთნელს და პრეზიდენტს ეკუთვნით. ლუის ვან გაალის მოსვლით ახალი ეპოქა იწყება. იქნება ბევრი ახალი იდეა, ახალი სათამაშო სტილი და, რა თქმა უნდა, იმედიც. ოპტიმიზმის ყველანაირი საფუძველი არსებობს. კარგი იქნება, თუ მომავალი სეზონის ბოლოს რომელიმე ტიტულს მოვიგებთ".

**ვაჟა ხუციშვილი**

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისური** „ევერტონის" ვანელი ნახევარმცველი ალექს ნიარკო ერთწლიანი იჯარით ფრანგულ პსჟ-ში გადავიდა. თუმც პარიზულ კლუბს მისი შეძენის უფლებაც აქვს 4,7 მილიონ ევროდ. წინა სეზონში ნიარკო ასევე განათხოვრების წესით თამაშობდა „მონაკოში". 28 წლის ფეხბურთელი „ევერტონმა" 7 მილიონ ევროდ შეიძინა, თუმც მან პრემიერლიგაში სულ ერთი სეზონი ითამაშა.

**იტალიური „ინტერის" თავკაც ექტორ რაულ კუპერს არგენტინის ნაკრებში მარსელო ბიელსას ერთ-ერთ შემცვლელად მოიაზრებენ. „ინტერის" პრეზიდენტი მზადაა, გუნდიდან ექტორ რაულ კუპერი გაუშვას, თუ შვედ სვენ-გორან ერიკსონთან შეთანხმებას მიაღწევს, რომელიც, გავრცელებული ხმების თანახმად, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ინგლისის ნაკრების დატოვებას აპირებს.**

**მექსიკის** ნაკრებისა და ფრანგული „მონაკოს" მცველ რაფაელ მარკეშით იტალიური „ლაციო" დაინტერესდა. რომაელები მარკეშს ალესანდრო ნესტას შესაძლო შემცვლელად მიიჩნევენ და მზად არიან, 15 მილიონი ევრო გადაიხადონ. 23 წლის რაფაელ მარკეში 1999 წელს გადავიდა „მონაკოში" და საფრანგეთის ჩემპიონობაც მოიპოვა. სულ კი 59 მატჩში 4 გოლი გაიტანა.

**საბერძნეთის ნაკრებისა და „არისის" თავდამსხმელი ანგელოს ხარისტიასი გერმანულ „ვერდერში" გადადის. ბრემენელებმა 22 წლის ფორვარდი კლუბისთვის სარეკორდო თანხად, 3 მილიონ ევროდ შეიძინეს.**

**ფრანგული** „სედანის" განცხადებით, კლუბი თანახმაა, სენეგალის ნაკრების ნახევარმცველი სალიფ დიაო „ლივერპულს" დაუთმოს, ოღონდ ეს ტრანსფერი დეკემბრამდე არ მოხდება. 25 წლის სალიფ დიაომ თქვა, რომ ინგლისურ კლუბთან უკვე მიაღწია წინასწარ შეთანხმებას. „სედანის" პრეზიდენტ პასკალ ურანოს ცნობით კი, უკვე გადაწყვეტილია, რომ სენეგალელი „ლივერპულში" ზამთარში გადაბარგდება. აქვე შეგახსენებთ, რომ „ლივერპულმა" კიდევ ერთი სენეგალელი ელ-ჰაჯი დიუფი გადაიბირა.

**ხორვატული ზაგრების „დინამოს" მთავარ მწვრთნელად ცნობილი სპეციალისტი მიროსლავ ბლაჟევიჩი დაინიშნა. „ჩვენ მომავალ სეზონში საკმაოდ დიდი ამბიციები გვაქვს, როგორც ჩემპიონატში, ასევე ევროპაშიც" — განაცხადა თავად ბლაჟევიჩმა.**

**ფრანგული** პსჟ-ს სენეგალელი ნახევარმცველი ალიუ სისე ინგლისურმა „ბირმინგემმა" 2,3 მილიონ ევროდ შეიძინა. ასეთი ინფორმაცია გავრცელდა ბოლო დროს, რამაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მყოფი სისეს აღშფოთება გამოიწვია. გავიგე, რომ კლუბი უნდა დავტოვო, მაგრამ ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. ალბათ, მცირე პატივისცემას მაინც ვიმსახურებდი. პსჟ-დან ისედაც წავალ. ისეთ კლუბში თამაში არ მსურს, სადაც არ მაფასებენ. თუმც სად გავაგრძელებ კარიერას, ჯერ ვერ გეტყვით. ამას მალე მოევლება" — განაცხადა აღშფოთებულმა ალიუ სისემ.

**ესპანური „ბარსელონას" სათადარიგო მეკარე, ფრანგი რიშარ დუტრუელი სამშობლოში დაბრუნდა და მომავალ სეზონში „რენის" ღირსებას დაიცავს. კონტრაქტის დეტალები ჯერაც შეუთანხმებელია, თუმც ეს ტრანსფერი შეგვიძლია გადაწყვეტილად ჩავთვალოთ. შეგახსენებთ, რომ რიშარ დუტრუელი „ბარსელონაში" „სელტადან" გადავიდა, მაგრამ კარლოს რექსაჩმა სათადარიგოთა სკამზე დასვა და მეკარემაც გაცლა ამჯობინა.**



იყიდება სასწრაფოდ
შიშკინის ფერწერული ტილოების ასლები,
მხატვარი ნ. ა. ლვოვი
ტელ: 60-56-53

შარშანდელი ევროტურნირები ქართულმა გუნდებმა, რა თქმა უნდა, ნაადრევად დაასრულეს...



თბილისის „დინამომ" უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე ბელარუსულ ბატესთან ვერაფერი გააწყო...

# წვრილფეხობა წილს დაითვლის

## ყაზახეთიც ევროპაა

### აზერბაიჯანი შინაურ პატიმრობაში

**დღეს** ჟენევაში, „ნოგა ჰილტონ ოტელში", უეფას ჩემპიონთა ლიგის პირველი და მეორე საკვალიფიკაციო ეტაპების, ასევე უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა მოეწყობა.

ჩემპიონთა ლიგის პირველი მატჩები 17 ივლისს, საპასუხო კი ერთი კვირის თავზე, ოცდასამში გაიმართება.

სხვებთან ერთად, წილისყრის შედეგებს საქართველოს ჩემპიონი, ქუთაისის „ტორპედოც" ელის. იმ თექვსმეტეულში, რომელშიც ტორპედოელები მოხვდნენ, ევროპის წვრილფეხობაა თავმოყრილი. აქ ყოფილი საბჭოელებიდან ბალტიისპირელებს, სომხებს, ბელარუსებს და... უეფაში ახალგაწევრიანებულ ყაზახებს ვიხილავთ. რუსულ და უკრაინულ გუნდებს უფრო მაღალ საფეხურზე მოუკალათებიათ. აი, აზერბაიჯანი კი არსად ჩანს. საქმე ის გახლავთ, რომ უეფამ ჩვენი მეზობლები დასაჯა, სანამ შინაურ საქმეებს არ მოაგვარებთ, კარზე ტყუილუბრალოდ ნუ გვიკაკუნებთო.

შეგახსენებთ, რომ აზერბაიჯანში ფეხბურთის ფედერაციასა და კლუბებს შორის არსებულმა დაპირისპირებამ ჩემპიონატი შეიწირა. კლუბებმა ქვეყნის ფეხბურთის მესვეურებისგან დამოუკიდებელი, ალტერნატიული პირველობა გააჩაღეს. აზერბაიჯანის ფეხბურთის მამები კი უკიჟინებდნენ, უეფა მარტო ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ ჩემპიონატს ცნობსო, მაგრამ მათ შეგონება ყურად არ იღეს. უეფამაც თავისი დებულება არ დაარღვია და თავნება აზერბაიჯანლები ევროპული სარბიელიდან მოკვეთა.

პირველ საკვალიფიკაცია ეტაპზე მოთამაშეთა შორის გამარჯვებულებს ოდნავ მაღალი რეიტინგის გუნდები ელიან, ხოლო მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გამარჯვებულთ, თექვსმეტი უფრო მაღალი ეშელონის გუნდიც ემატება, რომელთაც მესამე ეტაპისთვის კენჭისყრა, 26 ივლისს დააწყვილებს.

უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩები 15 აგვისტოს ჩატარდება, საპასუხო შეხვედრები კი ორკვირიანი პაუზის შემდეგ გაიმართება.

უეფას თასის პირველი რაუნდის წილისყრა 30 აგვისტოს შედგება.

აქვე შეგახსენებთ, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალი, რომელშიც მოხვედრის შანსებიც დღეს წილნაყარ გუნდებს ნაკლებად აქვთ, გაისად 28 მაისს „ოლდ ტრეფორდზე" გაიმართება, ხოლო უეფას თასის მფლობელის ვინაობა სევილიის „ოლიმპიურზე" გაირკვევა.

**გიორგი მამარდაშვილი**



...თბილისის „ლოკომოტივი" კი მალტურ „ბირკირკარასთან" შერცხვა



ქუთაისის „ტორპედომ" ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე დანიურ „კოპენჰაგენს" ვერ აჯობა

## ჩემპიონთა ლიგა 2002-2003

### პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა

| განთესილნი | განუთესავნი |
|---|---|
| სკონტო (ლატვია) | ჰიბერნიანსი (მალტა) |
| აპოელი (კვიპროსი) | ბარი თაუნი (უელსი) |
| ტამპერე (ფინეთი) | ფლორა (ესტონეთი) |
| **ტორპედო (საქართველო)** | პიუნიკი (სომხეთი) |
| შერიფი (მოლდოვა) | ჟელეზნიჩარი (ბოსნია) |
| აკრანესი (ისლანდია) | პორტდაუნი (ჩრდ. ირლანდია) |
| ბელშინა (ბელარუსი) | ტორსჰაგენი (ფარერები) |
| კაუნასი (ლიტვა) | დინამო (ტირანა, ალბანეთი) |
| შელბურნი (ირლანდია) | დუდელანჟი (ლუქსემბურგი) |
| ვარდარი (მაკედონია) | ჟენისი (ყაზახეთი) |

*მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ქუთაისის „ტორპედოს" სავარაუდო მეტოქენი*

| | |
|---|---|
| დინამო (კიევი, უკრაინა) | ლეგია (პოლონეთი) |
| სპარტა (ჩეხეთი) | ლილესტრიომი (ნორვეგია) |
| ბრიუგე (ბელგია) | ბაზელი (შვეიცარია) |
| ბოავიშტა (პორტუგალია) | პარტიზანი (იუგოსლავია) |
| გრაცერი (ავსტრია) | ზაგრები (ხორვატია) |
| ბრონდბიუ (დანია) | ლევსკი (ბულგარეთი) |
| მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) | მარიბორი (სლოვენია) |

## უეფას თასი 2002-2003

### საკვალიფიკაციო ეტაპი

| განთესილნი | განუთესავნი |
|---|---|
| იფსვიჩი (ინგლისი) | ნოვა გორიცა (სლოვენია) |
| ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) | აელი (კვიპროსი) |
| კოპენჰაგენი (დანია) | მეტალურგსი (ლატვია) |
| სერვეტი (შვეიცარია) | მიუპა (ფინეთი) |
| ვარტექსი (ხორვატია) | ვენტსპილსი (ლატვია) |
| ვისლა (პოლონეთი) | ზიმბრუ (მოლდოვა) |
| ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | **ლოკომოტივი (საქართველო)** |
| სიგმა (ჩეხეთი) | ნისტრუ (ოტაჩი, მოლდოვა) |
| გიოტებორგი (შვედეთი) | ფილკირი (ისლანდია) |
| ამიცა (პოლონეთი) | ვესტმანაეიარი (ისლანდია) |
| მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) | ბირკირკარა (მალტა) |
| ზენიტი (რუსეთი) | გომელი (ბელარუსი) |
| ცსკა (სოფია, ბულგარეთი) | დინამო (მინსკი, ბელარუსი) |
| ლიტექსი (ბულგარეთი) | სუდუვა (ლიტვა) |
| ჟიჟკოვი (ჩეხეთი) | ატლანტასი (ლიტვა) |
| ლეიქსოეში (პორტუგალია) | დანდალკი (ირლანდია) |
| ბრანი (ნორვეგია) | შემროკ როვერსი (ირლანდია) |
| ჰაიდუკი (ხორვატია) | პობედა (მაკედონია) |
| აბერდინი (შოტლანდია) | ბელასიცა (მაკედონია) |
| ლივინგსტონი (შოტლანდია) | სლიმა უონდერერზი (მალტა) |
| მეტალურგი (ზაპოროჟიე, უკრაინა) | ბანგორ სიტი (უელსი) |
| მუსკრონი (ბელგია) | ლანსანტფრეიდი (უელსი) |
| სტაბეკი (ნორვეგია) | ლევადია (ტალინი, ესტონეთი) |
| კერნტენი (ავსტრია) | ტულევიკი (ესტონეთი) |
| აიკ (შვედეთი) | სპარტაკი (ერევანი, სომხეთი) |
| ლუგანო (შვეიცარია) | ზვარტნოცი (სომხეთი) |
| ჰიკ (ფინეთი) | სარაევო (ბოსნია) |
| რაპიდი (ბუქარესტი, რუმინეთი) | შიროკი ბრიაგი (ბოსნია) |
| ფერენცვაროში (უნგრეთი) | ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) |
| პრიმორიე (სლოვენია) | გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) |
| პუხოვი (სლოვაკეთი) | გი გოტუ (ფარერები) |
| პოლონია (პოლონეთი) | კლაქსვიკარი (ფარერები) |
| ოდენსე (დანია) | ტირანა (ალბანეთი) |
| მიდტიულანდი (დანია) | პარტიზანი (ალბანეთი) |
| იურგორდენი (შვედეთი) | ვადუცი (ლიხტენშტაინი) |
| სარტიდი (იუგოსლავია) | ავენირი (ლუქსემბურგი) |
| უიპეშტი (უნგრეთი) | გრევენმახერი (ლუქსემბურგი) |
| კობა სენეცი (სლოვაკეთი) | ენკამპი (ანდორა) |
| ანართოსისი (კვიპროსი) | დომანანო (სან მარინო) |
| ნაციონალი (რუმინეთი) | კაირატი (ყაზახეთი) |
| **დინამო (საქართველო)** | ატირაუ (ყაზახეთი) |

## ეს ტრანსფერ[illegible]

### ეტო ზირაქიშვილი, ეტო იაგორაშვილი

**თბილისის „დინამოს"** მიერ დასჯილ ზაზა ზირაქიშვილს კლუბთან კონტრაქტი დაუმთავრდა. ადრე გაუწყეთ, რომ მე-12 ეროვნულის ბომბარდირითა და საუკეთესო ფეხბურთელით უნგრული „ფერენცვაროში" დაინტერესდა. თუმც მერე ვითარება შეიცვალა.

დღეს ზაზა ზირაქიშვილი უნგრეთს გაემგზავრება, მაგრამ ის „ფერენცვაროშს" არ მიაკითხავს. ქართველი ფორვარდის გასინჯვის სურვილი უნგრეთის ასევე პირველი დივიზიონის გუნდმა, „დიორ ეტომ" გამოთქვა. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, რომ ზირაქიშვილი „ფერენცვაროშის" მწვრთნელებმაც გამოსცადონ. ერთი სიტყვით, უფრო დიდი შანსია, ზაზა „დიორ ეტომ" დაიტოვოს, ვიდრე „ფერენცვაროშმა".

ზირაქიშვილი მარტო როდი მიდის უნგრეთში. მას კიდევ ერთი ყოფილი დინამოელი ვახტანგ იაგორაშვილიც გაჰყვება. ეს ნახევარმცველი „დინამომ" შარშან ნოემბერში დააყენა ტრანსფერზე კიდევ ექვს ფეხბურთელთან ერთად. იმ ამბავს საკმაოდ მძლავრი რეზონანსი მოჰყვა, ყველაფერი კლუბიდან პრეზიდენტ რევაზ არველაძის დათხოვნას უკავშირდებოდა, თუმც ეს უკვე ჩავლილი ამბავია.

მოკლედ, იაგორაშვილსა და ზირაქიშვილს უნგრული „დიორ ეტო" გამოცდის. სავარაუდოდ, ქართველები ორ-სამ საკონტროლო მატჩს ითამაშებენ მადიარებთან.

**დავით თავართქილაძე**



ზაზა ზირაქიშვილი და ვახტანგ იაგორაშვილი უნგრეთის გზას დაადგნენ





# ცხადაძემ რკინიგზას ვალი დაუტოვა

## ბერს ქობულეთში ჩადენილი ცოდვა არ აპატიეს

**მეცამეტე** ეროვნული ჩემპიონატი თითქმის ერთი თვეა, დასრულდა, თუმც სადისციპლინო კომიტეტმა კიდევ ერთხელ მიიხედა უკან და დამნაშავენი დასაჯა.

გუშინ ფიზკულტურისა და სპორტის აკადემიაში სადისციპლინო კომიტეტის დასკვნითი სხდომა ჩატარდა. დისციპლინარებს განსახილველი ორი საკითხი ჰქონდათ და ორივეს სწრაფად დაუსვეს ბეჭედი.

თბილისის „ლოკომოტივის" ყოფილმა მოთამაშე-მწვრთნელმა კახა ცხადაძემ კლუბის ხელმძღვანელობაზე თავისდაუნებურად „იყარა ჯავრი". საქმე ისაა, რომ მეორე ეტაპის „დინამო" — „ლოკომოტივის" მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე მისვლა კახა ცხადაძემ იუარა, ეს შეხვედრა რკინიგზელებმა 0:2 დათმეს, თან მთავარი მწვრთნელიც დაკარგეს. პრესკონფერენციაზე გამოუცხადებლობის გამო დაწესებული საჯარიმო თანხის 200 ლარის გადახდა კი სწორედ „ლოკომოტივს" დაეკისრა.

ამით უმაღლესლიგელთა „შავი სია" დაცარიელდა და დისციპლინარებიც მეორე საკითხს გადასწვდნენ. მეტად უსიამოვნო ფაქტი მოხდა ქობულეთში, სადაც ჩოხელის თასის პირველ მეოთხედფინალურ მატჩში ერთმანეთს ადგილობრივი „ქობულეთი" და თბილისის „ბერი" ხვდებოდნენ. მატჩმა მასპინძელთა უპირატესობით ჩაიარა, რაზეც ანგარიშიც კარგად მეტყველებს — 5:1. თუმც ამ შეხვედრას დასრულება არ ეწერა. მთავარმა მსაჯმა გიორგი კიკაჩეიშვილმა თბილისელი გიორგი ბაბაშვილი ორი ყვითელი ბარათით გააძევა, მოგვიანებით კი ლაშა გობეჯიშვილი — შეგინებისთვის. ამან სტუმართა აღშფოთება გამოიწვია და კლუბის ხელმძღვანელობამაც მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო — გუნდს მოედანი დაატოვებინა. მატჩიც ჩაიშალა...

დისციპლინარებმა „ბერს" საქციელი არ მოუწონეს და მკაცრადაც დასაჯეს — „ბერი" გათამაშებიდან მოიხსნა.

**კახა შალამბერიძე**

# აშვეთიამ ალანიაში თედეევი მიიყვანა

**ახლახან გაუწყეთ,** რომ ვლადიკავკაზის „ალანიაში" კიდევ ერთი ქართველი, მიხეილ აშვეთია გადავიდა, რომელიც რუსულ პრემიერლიგაში 30 ნოემბრამდე განათხოვრების წესით იბურთავებს. „ალანიაში" მის გარდა, მოგეხსენებათ, გია იმედაძეც ირიცხება.

ახლა რუსეთის ჩემპიონატში შესვენებაა და გუნდები მეორე წრისთვის ემზადებიან. საწვრთნელ შეკრებაზეა ვლადიკავკაზური კლუბიც. უკვე გადაწყვეტილია, რომ „ალანია" მეორე წრეს ახალი თავკაცის ხელმძღვანელობით დაიწყებს. ვლადიმერ მუხტიანს ძალიან კი სურდა მიხეილ აშვეთია თავის გუნდში, თუმც ჩვენებური მისი ხელმძღვანელობით ველარ ითამაშებს, იგი გუნდიდან დაითხოვეს.

გუშინ გახდა ცნობილი, რომ „ალანიას" უფროს მწვრთნელად საქართველოში დაბადებულ-გაზრდილი, ერთ დროს თბილისის „დინამოს" ფეხბურთელი, ბოლოხანს კი „ალანიას" სიმბოლოდ ქცეული ბახვა თედეევი დაინიშნა. ბახვა თედეევი წინა სეზონში სულაც ოსური კლუბის კაპიტანი იყო, თუმც წელის ქრონიკული ტკივილის გამო კარიერის იძულებით დასრულება მოუხდა. ახლა უფრო საპასუხისმგებლო საქმიანობასაც შეეჭიდება. გუნდის მთავარ მწვრთნელად კი, სავარაუდოდ, ბორის იგნატიევს დანიშნავენ. ეს საკითხი ჯერაც არ გადაწყვეტილა, თუმც იგნატიევი გუნდს ნოვოგორსკში, საწვრთნელ შეკრებაზე დღე-დღეზე შეუერთდება და, ალბათ, კონტრაქტსაც იქვე გააფორმებს. ასე რომ, მიხეილ აშვეთიამ და გია იმედაძემ ახლა ახალ მწვრთნელს უნდა მოაწონონ თავი, რაც მათთვის დამატებითი სტიმული იქნება.

**კახა შალამბერიძე**



გია იმედაძე და მიხეილ აშვეთია

# პირველის მეორე მერცხალი

**დასასრულს** მიუახლოვდა რეგიონული გათამაშება. აღმოსავლეთ ზონაში პირველობა არავის დაუთმო „მცხეთამ" და პირველი ლიგის საგზურიც მოიპოვა. მეორეადგილოსან ხაშურის „ივერიას" კი გადათამაშება ელოდა დასავლეთ ზონის „ვერცხლის პრიზიორთან", თუმც ლიხს იქით სატურნირო ვითარება უფრო დაძაბული გამოდგა. ჩემპიონატი ორმა გუნდმა, ოზურგეთის „მერცხალმა" და ვანის „სულორმა" თანაბარი ქულებით ჩაამთავრეს. ამიტომ ზონის გამარჯვებულისა და შესაბამისად, პირველ ლიგაში გადამსვლელის ვინაობის გარკვევას დამატებითი მატჩის ჩატარება დასჭირდა.

ეს შეხვედრა ფოთის „ფაზისზე" 19 ივნისს შედგა და ერთობ უშელავათო გამოდგა. „მერცხალმა" და „სულორმა" ერთმანეთს არაფერი დაუთმეს. მატჩის ძირითადი და დამატებითი დროც ფრედ 1:1 დასრულდა. პენალტების სერიაში კი ოზურგეთელებმა იძალეს და მეტოქე ხაშურის „ივერიას" შეატოვეს.

ამგვარად, პირველი ლიგის ორი საგზურის მფლობელი უკვე გაირკვა — „მცხეთა" და ოზურგეთის „მერცხალი". მესამე იღბლიანის ვინაობა კი 23 ივნისს გახდება ცნობილი. სწორედ ამ დღეს დაუპირისპირდება ერთმანეთს ვანი „სულორი" და ხაშურის „ივერია". შეხვედრის ადგილი ჯერ გაურკვეველია.

**კახა შალამბერიძე**


## რესტორანი მზიანი ღამე






განახლებული მუშაობა გაუმჯობესებული ხარისხით
დილის 11 საათიდან ღამის 2 საათამდე

* პროფესიონალები სამზარეულოში და შთამბეჭდავი მენიუ — ქართული და ევროპული კერძების სიმრავლე და ნაირგვარობა.
* გსურთ წვეულების, ბანკეტის, ფურშეტის მოწყობა? მივიღებთ შეკვეთებს მომსახურების უმაღლესი დონის გარანტიით

კუტუზოვის ქუჩა №3
(ყოფილი ცირკის სასტუმროს პირველი სართული)
ტელეფონი: 38-68-41; (899) 56-30-74

მობრძანდით, გვენდეთ: კმაყოფილი დარჩებით

# სარბიელი და კროკო
## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინტერტოტო. I ეტაპი. I წრე** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 19.00 | 036 | კოლრეინი (ჩრდ.ირლ.)-სანტ ჯულია (ანდორა) | 1,15 | 5,3 | 10,0 | 1 | 1 | 3,45 |
| 19.00 | 037 | ცემენტარნიცა (მკ.)-პაფნარფიორდური (ისლ.) | 1,65 | 3,3 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| 20.00 | 038 | მარეკი (ბულგარეთი)-კაერსისი (უელსი) | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| 20.00 | 039 | ბატე (ბელარუსი)-აკადემისკი (დანია) | 2,4 | 3,0 | 2,7 | 1,3 | 1,25 | 1,4 |
| 20.00 | 040 | კონსტრუქტორული (მოლდ.)-სინოტი (ჩეხეთი) | 2,8 | 3,1 | 2,3 | 1,45 | 1,25 | 1,3 |
| 20.00 | 041 | პარალიმნი (კვიპროსი)-ბრეგენცი (ავსტრია) | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 21.00 | 042 | ლეირია (პორტუგალია)-ლევადია (ესტონეთი) | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| 21.00 | 043 | სტ.გალენი (შვეიც.)-ბ68 ტოფტირი (ფარერები) | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 21.00 | 044 | ვალეტა (მალტა)-ტეუტა (ალბანეთი) | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| 21.00 | 045 | პონვედი (უნგრეთი)-კალგირისი (ლიტვა) | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| 21.30 | 046 | რიეკა (იუგოსლავია)-სტ.პატრიკსი (ირლანდია) | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| 22.00 | 047 | დუკლა (სლოვაკეთი)-სლავენი (ხორვატია) | 2,3 | 3,0 | 2,9 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 22.30 | 048 | ციურიხი (შვეიცარია)-ბროტნიო (ბოსნია) | 1,25 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,05 | 2,8 |
| 23.00 | 049 | ლოკერენი (ბელგია)-ვიტ ჯორჯია (საქართვ.) | | | | ანგარიში – 5,0 | | |
| 00.30 | 050 | სანტა კლარა (პორტუგალია)-შირაკი (სომხეთი) | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,2 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 20.00 | 051 | ჰელსინგბორგი (შვედეთი)-კოპერი (სლოვენია) | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,15 | 2,15 |
| 20.00 | 052 | გლორია (რუმინეთი)-უნიონი (ლუქსემბურგი) | 1,1 | 6,0 | 12,0 | 1 | 1 | 4 |
| 20.00 | 053 | ზაგლებე (პოლონეთი)-დინაბურგი (ლატვია) | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 20.30 | 054 | ობილიჩი (იუგოსლავია)-ჰაკა (ფინეთი) | 1,65 | 3,4 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| 21.00 | 055 | ბრნო (ჩეხეთი)-აშდოდი (ისრაელი) | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ნორვეგია. XIII ტური** | | | | | | |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 19.00 | 010 | ოდ გრენლანდი-ლილესტრიომი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,15 | 1,1 | 1,7 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 21.00 | 011 | ბოდოი გლიმტი-სტარტი | 1,6 | 3,5 | 4,7 | 1 | 1,15 | 2 |
| 21.00 | 012 | სოგნდალი-მოლდე | 3,4 | 3,3 | 1,9 | 1,65 | 1,2 | 1,2 |
| 21.00 | 013 | სტაბეკი-მოსი | 1,45 | 3,6 | 6,5 | 1 | 1,15 | 2,3 |
| 21.00 | 014 | ვიკინგი-ლინი | 2,0 | 3,3 | 3,2 | 1,2 | 1,2 | 1,6 |
| 21.00 | 015 | ვალერენგა-ბრინი | 1,6 | 3,6 | 4,4 | 1,1 | 1,15 | 1,95 |
| | | **24 ივნისი** | | | | | | |
| 23.30 | 016 | ბრანი-როზენბორგი | 3,4 | 3,3 | 1,9 | 1,65 | 1,2 | 1,2 |

**ფორმულა 1. IX რბოლა (ევროპა. ნიურბურგრინგი)**

**23 ივნისი 15:00**

| 7001 გამარჯვებული | | სამეული | | ვქხეული | | 7002 უსწ. წრე |
|---|---|---|---|---|---|---|
| მ.შუმახერი | 1,55 | 7101 | 1,1 | 7201 | 1,03 | 2,2 |
| მონტოია | 4,0 | 7102 | 1,35 | 7202 | 1,15 | 2,8 |
| ბარიკელო | 5,0 | 7103 | 1,45 | 7203 | 1,3 | 3,0 |
| რ.შუმახერი | 6,0 | 7104 | 1,7 | 7204 | 1,3 | 5,0 |
| კულთჰარდი | 10,0 | 7105 | 3,0 | 7205 | 1,5 | 15,0 |
| რაიკონენი | 20,0 | 7106 | 4,0 | 7206 | 1,75 | 30,0 |
| ტრული | 50,0 | 7107 | 10,0 | 7207 | 3,0 | 75,0 |
| ბატონი | 75,0 | 7108 | 12,0 | 7208 | 3,0 | 100,0 |
| ფიზიკელა | 75,0 | 7109 | 12,0 | 7209 | 3,0 | 100,0 |
| ჰაიდფელდი | 100,0 | 7110 | 15,0 | 7210 | 3,2 | 100,0 |

**ჩოგბურთი**

**უიმბლდონი**

**24 ივნისი 14:00**

| 8001 გამარჯვებული კაცი | | 8002 გამარჯვებული ქალი | |
|---|---|---|---|
| ჰენმანი | 4,4 | ვ.ვილიამსი | 2,0 |
| ჰიუიტი | 4,4 | ს.ვილიამსი | 2,5 |
| აგასი | 5,0 | კაპრიატი | 5,0 |
| სამპრასი | 7,0 | ჰენინი | 10,0 |
| ფედერერი | 7,0 | კლაისტერსი | 15,0 |
| საფინი | 10,0 | დოკიჩი | 20,0 |
| როდიკი | 15,0 | სელეში | 25,0 |
| ენქვისტი | 20,0 | ჰანტუხოვა | 50,0 |
| ფილიპუსისი | 20,0 | მორესმო | 50,0 |
| რუსედსკი | 20,0 | დემენტიევა | 75,0 |
| კაფელნიკოვი | 25,0 | პრატი | 100,0 |
| იოჰანსონი | 25,0 | კურნიკოვა | 100,0 |
| კანასი | 50,0 | | |
| მარტინი | 50,0 | | |
| კოვერი | 50,0 | | |
| კრაიჩეკი | 50,0 | | |

**23 ივნისი 15:00. რამდენი პილოტი დაამთავრებს რბოლას 7003**

| | |
|---|---|
| 11 ან ნაკლები | 3,0 |
| 12 ან 13 | 3,6 |
| 14 ან 15 | 3,6 |
| 16 ან მეტი | 3,6 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **21 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1157 | ინგლისი-ბრაზილია | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,4 |
| 16.30 | 1158 | გერმანია-აშშ | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | | | | |
| 11.30 | 1159 | ესპანეთი-კორეა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,2 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 16.30 | 1160 | სენეგალი-თურქეთი | 4,0 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,2 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 4,0 |


# მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში
# კროკო
## ყოველდღიურად (ორშაბათის ჩათვლით) იმუშავებს
## სამუშაო საათები 9⁰⁰ — 19⁰⁰

მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების პირდაპირი რეპორტაჟების (ერთდროულად დანიშნული შეხვედრების შემთხვევაში, ორივე მატჩის პარალელურად) ნახვა და მოგებული თანხის თამაშის დამთავრებისთანავე მიღება შეგეძლებათ

## ნებისმიერ ბიუროში


| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **ძირითადი დრო** | | | | | | |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 157 | ინგლისი-ბრაზილია | 3,0 | 3,0 | 2,3 | 1,5 | 1,3 | 1,3 |
| 16.30 | 158 | გერმანია-აშშ | 1,7 | 3,2 | 4,7 | 1,1 | 1,2 | 1,9 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 11.30 | 159 | ესპანეთი-კორეა | 1,95 | 3,1 | 3,6 | 1,1 | 1,25 | 1,65 |
| 16.30 | 160 | სენეგალი-თურქეთი | 2,6 | 2,9 | 2,6 | 1,35 | 1,2 | 1,35 |

## I ტაიმის შედეგი

| | | | 1 | X | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| | | **21 ივნისი** | | | |
| 11.30 | 1057 | ინგლისი-ბრაზილია | 3,4 | 2,1 | 2,7 |
| 16.30 | 1058 | გერმანია-აშშ | 2,2 | 2,1 | 4,7 |
| | | **22 ივნისი** | | | |
| 11.30 | 1059 | ესპანეთი-კორეა | 2,5 | 2,1 | 3,6 |
| 16.30 | 1060 | სენეგალი-თურქეთი | 3,0 | 2,1 | 3,0 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **21 ივნისი** | | |
| 11.30 | 2057 | ინგლისი-ბრაზილია | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2058 | გერმანია-აშშ | 1,75 | 1,75 |
| | | **22 ივნისი** | | |
| 11.30 | 2059 | ესპანეთი-კორეა | 1,75 | 1,75 |
| 16.30 | 2060 | სენეგალი-თურქეთი | 1,75 | 1,75 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს

| | | | კი | არა |
|---|---|---|---|---|
| | | **21 ივნისი** | | |
| 11.30 | 2157 | ინგლისი-ბრაზილია | 1,6 | 1,9 |
| 16.30 | 2158 | გერმანია-აშშ | 1,7 | 1,8 |
| | | **22 ივნისი** | | |
| 11.30 | 2159 | ესპანეთი-კორეა | 1,65 | 1,85 |
| 16.30 | 2160 | სენეგალი-თურქეთი | 1,65 | 1,85 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს (ძირითადი დრო)

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **21 ივნისი** | | |
| 11.30 | 2257 | ინგლისი-ბრაზილია | 2,0 | 1,8 |
| 16.30 | 2258 | გერმანია-აშშ | 1,55 | 2,4 |
| | | **22 ივნისი** | | |
| 11.30 | 2259 | ესპანეთი-კორეა | 1,7 | 2,2 |
| 16.30 | 2260 | სენეგალი-თურქეთი | 1,9 | 1,9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|---|
| | | **21 ივნისი** | | | |
| 11.30 | 2957 | ინგლისი-ბრაზილია | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2958 | გერმანია-აშშ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| | | **22 ივნისი** | | | |
| 11.30 | 2959 | ესპანეთი-კორეა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 16.30 | 2960 | სენეგალი-თურქეთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | **21 ივნისი** | | |
| 11.30 | 3957 | ინგლისი-ბრაზილია | 2,0 | 1,65 |
| 16.30 | 3958 | გერმანია-აშშ | 1,3 | 3,2 |
| | | **22 ივნისი** | | |
| 11.30 | 3959 | ესპანეთი-კორეა | 1,45 | 2,3 |
| 16.30 | 3960 | სენეგალი-თურქეთი | 1,8 | 1,8 |

## ჩემპიონი

**21 ივნისი. 11.30**

| | | |
|---|---|---|
| 3651 | ბრაზილია | 3,0 |
| 3653 | ინგლისი | 3,5 |
| 3654 | ესპანეთი | 4,0 |
| 3655 | გერმანია | 5,0 |
| 3662 | კორეა | 10,0 |
| 3660 | სენეგალი | 15,0 |
| 3661 | თურქეთი | 15,0 |
| 3666 | აშშ | 20,0 |

## რომელი კონტინენტის ქვეყანა გახდება ჩემპიონი

**21 ივნისი. 11.30. 3801**

| | |
|---|---|
| ევროპა | 1,4 |
| ამერიკა | 2,2 |
| აზია | 10,0 |
| აფრიკა | 15,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

## სპორტული ლატარია

CROCO
BOOKMAKERS

## კროკო

*ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.*

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I[b] კორპუსი | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდაწყლის დასახლება |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| | მშვიდობის გამზირი №11 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალამი 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| გურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №28 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით ალმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| წნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ახმეტა | ჩოლოყაშვილის ქუჩა №49 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |

ევროკალათი

# ორი ოქრო ჩვენთან
## იქნებ მესამეც იყოს



ვახტანგ ნაცვლიშვილი (№13) ჩემპიონობისთვის იბრძვის...

**საკალათბურთო** სეზონი ევროპაში ფაქტობრივად დასრულდა. უმრავლეს ქვეყანაში ჩემპიონატმა ფარდა დაუშვა, თუმც ბურთს კალათში კანტიკუნტად მაინც ესვრიან. კალათბურთი ჯერ კიდევ დუღს ბებერი კონტინენტის ორ პოლუსზე — დასავლეთით პორტუგალიაში და აღმოსავლეთით რუსეთში. ამასთან თამაშით შუაგულ ევროპაშიც არ მოღლილან — ფრანგულ ფინალში ჩემპიონი „პო ორტეზი“ 0:1 აგებს „ვილერბანთან“ და თუ ერთხელაც წაიფორხილებს, ყველაფერი დასრულდება.

პორტუგალიაში კი ფინალი ახლა იწყება, თანაც სერია სამ მოგებამდეა და თუ საქმე მეხუთე თამაშამდე მივიდა, საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი სამშობლოს ბარე ივლისის შუა რიცხვებამდე ვერ ნახავს. ნაცვლიშვილი პორტუგალიის ჩემპიონობისთვის იბრძვის — მის „ოლივეირენსეს“ ჩემპიონ „ტელეკომის“ ძლევა სჭირდება, რომელთანაც შარშანდელი ფინალის ანგარიშებიც აქვს გასასწორებელი.

ქართველი ვახსენეთ და არ იქნება, ცხრილში მოყვანილ გუნდებში მობურთალი ჩვენებურებისაც არ ვთქვათ. მანამდე კი დაწყებული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ და ჯერაც დაუმთავრებელ მესამე ჩემპიონატზეც ვთქვათ სხვა თუ არაფერი, მეზობელია და წლების მანძილზე საერთო ტურნირშიც გვიბურთავია.

ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნების მსგავსად, რუსეთშიაც ერთი ტენდენცია შეინიშნება: ერთ დროს ბობოქარი გუნდები, რომლებიც საკავშირო ჩემპიონატში ერთმანეთს არ ინდობდნენ, სადღაც გადაკარგულან, ახალი დროების პირმშოთა ჩრდილში მოქცეულან. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ: თბილისის „დინამო“, ვილნიუსის „ჟალგირისი“, კიევის „სტროიტელი“ მინსკის რტი და მთავარი — მოსკოვის ცსკა. ვერც ერთი მათგანი სამშობლოში წლეულს ჩემპიონი ვერ გახდა. თითქოს ამ გუნდების ძალები დანგრეულმა ქვეყანამ თან გაიყოლა. მათთვის ჩვენს საჩემპიონო დავთარში ადგილი არ მოინახა. არმიული კლუბი, რომელიც შარშან მაინც იბრძოდა რუსეთის ჩემპიონობისთვის, ამჯერად ფინალშიც ვერ მოხვდა. ახლა „ურალ გრეიტის“, „უნიქსისა“ და მისთანათა დროა. კავკასიონსგადაღმა ფინალურ სერიაში პირველი მეორეს 2:0 უგებს და, ალბათ, მესამესაც მიაყოლებს.

ქართველებმა კი იხმაურეს წლეულს ევროპაში. მართალია, ზაზა ფაჩულიამ სტამბოლის „ულქერში“ ჩემპიონობა დაკარგა, მაგრამ სამაგიეროდ, ჩვენებურთ სხვა წამყვანი ქვეყნების ოქროები ერგოთ. ნიკა ცქიტიშვილი ლიუბლიანის „სლოვანს“ ამ სეზონში გაეცალა და ტრევიზოს „ბენეტონი“ საჩემპიონოდ და ნბა-ს ტრამპლინად გამოიყენა. ყველაზე ძვირადაც ცქიტიშვილის იტალიური ოქრო ფასობს. „სლოვანს“ გაეყარა ვლადიმერ ბოისაც, რომელშიც „ოლიმპიას“ ჰყავდა განათხოვრებული. ბოისამ სლოვენიის გრანდის ჯერ თორმეტი, შემდეგ კი სასტარტო ხუთ კალათბურთელში დაიბევა ადგილი და ახლახან ქვეყნისა და ადრიატიკის თასებთან ერთად სლოვენიის ჩემპიონობაც იზეიმა.

სულ ეს არის ევროპელი ქართველობის ნაჯაფი. ცალკე თემაა ცხრილში მოხვედრილ ბასკოელთა ამბავი, რომელზეც მთელი სეზონი ვწერდით და ახლა თავს აღარ შეგაწყენთ.

**ირაკლი ბერტაია**

| ქვეყნები და ჩემპიონები | |
|---|---|
| ავსტრია | კაპფენბერგი |
| ბელგია | ოსტენდე |
| ბოსნია-ჰერცოგოვინა | შიროკი |
| ბულგარეთი | იამბოლგაზი |
| ხორვატია | ციბონა |
| კვიპროსი | აპოელი |
| ჩეხეთი | ოპავა |
| დანია | ვარლოსე |
| ესტონეთი | კალევი |
| ფინეთი | ჰონკა |
| მაკედონია | რაბოტნიჩი |
| საქართველო | ბასკო |
| გერმანია | ალბა |
| საბერძნეთი | აეკ |
| ჰოლანდია | რიკო |
| უნგრეთი | ატომერომუ |
| ისლანდია | ნიარდვიკი |
| ირლანდია | უოტერფორდი |
| ისრაელი | მაკაბი |
| იტალია | ბენეტონი |
| ლატვია | ვენტსპილსი |
| ლიტვა | ლიეტუვოს რიტასი |
| ლუქსემბურგი | სოლევრე |
| მოლდოვა | ფლორა |
| ნორვეგია | ოსლო კინგსი |
| პოლონეთი | შლიონსკი |
| რუმინეთი | ვესტ პეტრომი |
| სლოვაკეთი | პეჭინოკი |
| სლოვენია | ოლიმპია |
| ესპანეთი | ტაუ |
| შვედეთი | პლანია |
| შვეიცარია | ლუგანო |
| თურქეთი | ეფესი |
| უკრაინა | ბკ ოდესა |
| დიდი ბრიტანეთი | ჩესტერ ჯეტსი |
| იუგოსლავია | პარტიზანი |
| **მიმდინარე ფინალები** | |
| რუსეთი | ურალ გრეიტი – უნიქსი 2:0 |
| საფრანგეთი | პო ორტეზი – ვილერბანი 0:1 |
| პორტუგალია | ტელეკომი – ოლივეირენსე |



...ვლადიმერ ბოისა კი უკვე ჩემპიონია

**სერბ** ვეტერან ვარსკვლავ ჟარკო პასპალს გულმა უმტყუნა. იგი კვირას ინფარქტით მიიყვანეს საავადმყოფოში. ბოლო ერთი წელია, ეს მესამე შემთხვევაა. ექიმთა თქმით, კალათბურთელის ჯანმრთელობა გვარიანადაა შერყეული, მაგრამ ამჯერად მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

გუშინწინ პასპალი სხვა ჰოსპიტალში გადაიყვანეს, სადაც საფუძვლიან გამოკვლევასა და რეაბილიტაციის კურსს გაივლის. სერბი კალათბურთელი 90-იან წლებში ბერძნულ ლიგაში ბრწყინავდა. იყო „პანათინაიკოსის“, „ოლიმპიაკოსის“, „პანიონიოსისა“ და აეკ-ის ლიდერი.



ჟარკო პასპალი



ირჟი ველში

**ჩეხეთის** წლევანდელ საუკეთესო კალათბურთელსა და ლიუბლიანის „ოლიმპიაში“ ვლადიმერ ბოისას თანაგუნდელ ირჟი ველშს ბოლონიის „კინდერი“ ეკურკურება. ამ გუნდის ახალმა გენერალურმა მენეჯერმა ფრანკო ლომბარდიმ განაცხადა, რომ წლეულს ევროთასისა და იტალიის ჩემპიონობის გარეშე დარჩენილებს არ აწყენდათ იმ დონის გამთამაშებელი, როგორიც ველშია.

ლომბარდიმ კარგად იცის, რომ ჩეხმა კალათბურთელმა რამდენიმე დღეში ნბა-ს დრაფტში უნდა მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ იმედს მაინც არ კარგავს და აცხადებს, ველში კარგი გამთამაშებელი კია, მაგრამ არა მგონია, თუ ნბა-ს რომელიმე გუნდი აიყვანს, კონტრაქტი მაშინვე გაუფორმოს. ამერიკაში ევროპელ გამთამაშებლებს ნაკლები გასავალი აქვთ და ჩეხს ერთიორი სეზონი ჩვენთან უჯობს თამაშიო.

**ესპანეთს** ახალი ჩემპიონი ჰყავს, იგი არც „რეალია“ და არც „ბარსელონა“: ვიტორიის „ტაუ“ ჩემპიონატის 47-წლიან ისტორიაში პირველად გახდა საუკეთესო. ბასკურ კლუბს არც ჩემპიონობის მოცილე ჰყავდა სახელიანი. მალაგის „უნიკახა“ არასდროს ბრწყინავდა. ეს გუნდი, „ტაუს“ დარად, მუდამ ორი ცნობილი ესპანური გრანდის ჩრდილში იყო. ამჯერად კი მათ ოქრო-ვერცხლი ერთმანეთში გაინაწილეს.

ორივე ფინალისტი წლეულს ევროლიგაში გამოდიოდა. „უნიკახამ“ პირველი ეტაპიც ვერ დაძლია, „ტაუს“ კი ცოტა დააკლდა, ოთხთა ფინალში ითამაშებდა. ესპანურ ფინალშიც აშკარა იყო ბასკური კლუბის უპირატესობა. გუშინ ვიტორიაში „ტაუმ“ მესამე მატჩიც მოუგო მეტოქეს და სერია მშრალი ანგარიშით — 3:0 დასრულდა. თუმცკი შეიძლებოდა, სერია გაგრძელებულიყო. მასპინძლები ბოლო მეოთხედის წინ 64:74 აგებდნენ, მაგრამ მოახერხეს თამაშის გადარჩენა. ლორენ ფორესტის წყალობით ვიტორიელებმა 9-წუთეული 22:3 მოიგეს და ისტორიული გამარჯვებაც იზეიმეს.

**უხეირო** სეზონის შემდეგ „ბარსელონაში“ დიდი ფაციფუცია. წლეულს კატალონიური გუნდი შინაურსა და ევროპულ სარბიელზე მშრალზე დარჩა, კლუბის უფროსობამ კი ცვლილებები მწვრთნელის სავარძლიდან დაიწყო. აიტო გარსია რენესესის ნაცვლად „ბარსელონას“ იუგოსლაველი სპეციალისტი სვეტისლავ პეშიჩი უთავკაცებს. ახალმა მწვრთნელმა კი უმალ შეადგინა სასურველ კალათბურთელთა სია, რომელშიც მოწინავე ადგილი ელვარებადაკარგულ იტალიელ ვარსკვლავ გრეგორ ფუჩკას უკავია. შემდეგ ცენტრები, ოლიმპიაკოსელი პატრიკ ფემერლინგი და აეკელი ენდრუ ბეტსი მოდიან.

მთავარი მწვრთნელის პირველი ასისტენტი ხუან მონტესი აცხადებს, რომ „ბარსელონას“ ახალ თავკაცს მეორე ასისტენტიც სჭირდება და ამისთვის ესპანელებს კანდიდატურაც შეუგულებიათ. ის მოქმედი კალათბურთელი, ბოლონიის „სკაიპერში“ გრეგორ ფუჩკას გუნდელი ზორან სავიჩია. კატალონიელებს ნახსენებ ორთან მოლაპარაკებები უკვე გაუმართავთ და ახლა პასუხსღა ელიან.

წამსვლელ-დამრჩენთა ვინაობაც თითქმის გარკვეულია. კლუბში ნაჩო როდრიგესი და ადემოლა ოკულაია დარჩებიან, ანდრეა კამატამ და, არტურას კარნიშოვასმა კი სხვა გუნდები უნდა ეძებონ. ესპანელთა განცხადებით, შესაძლოა, კლუბი ერთ-ერთმა ლიდერმა, როდრიგო დე ლა ფუენტემაც დატოვოს. იგი სოლტ ლეიკ სიტის საზაფხულო კემპში მიიღებს მონაწილეობას და მისით დაინტერესებული „პორტლენდ ტრეილ ბლეიზერსიც“ ესპანელს იქ შეათვალიერებს.



გრეგორ ფუჩკა




# ცქიტიშვილს დრაფტზე 226-სანტიმეტრიანი ჩინური კედელი დახვდება

## თუმც, სპეციალისტთა აზრით, ნიკას ნბა-ში დაბინავება გადაწყვეტილი საქმეა


ნიკა ცქიტიშვილს ნბა კარს უღებს

*რამდენიმე დღეც და მსოფლიოს უდიდესი ყოველწლიური სპორტული არჩევან-არადანი ჩატარდება. 26 ივნისს ნიუ იორკის უცნობილესი დარბაზი „მედისონ სკვერ გარდენი" ნბა-ს 2002 წლის დრაფტს უმასპინძლებს. ამერიკის სტუდენტურ ლიგასა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხე-კუნჭულში დაღვინებული ყმაწვილი კალათბურთელები ნბა-ს 29 კლუბში გადანაწილებას ელიან. რომელი ნიჭიერი ჯეელი რომელ გუნდს ერგება, ეს 26 ივნისს გაირკვევა, ჩვენ კი ერთხელაც გადავხედოთ წინასადრაფტო ამბებს, მით უმეტეს, რომ ამ ამბებში არცთუ იშვიათად გაისმის ქართული გვარები.*


დრაფტისთვის ზაზა ფაჩულიაც ემზადება

**პირველი** არჩევანის გაკეთების უფლება „ჰიუსტონს" აქვს და უკვე წინასწარაა ცნობილი, რომ ეს კლუბი არ აიყვანს ქართველ ფორვარდ ნიკოლოზ ცქიტიშვილს. ამ გუნდის ღვაწლმოსილი მწვრთნელი რუდი ტომიანოვიჩი რამდენიმე კვირის წინ იტალიაში, ქალაქ ტრევიზოში გახლდათ და პირადად ნახა იქაური „ბენეტონის" ჩვენებური მოთამაშე 211-სანტიმეტრიანი და 19 წლის ცქიტიშვილი. ტომიანოვიჩი აღფრთოვანებია მოქნილ ქართველ ყმაწვილს და უთქვამს, საღრაფტოდ გამზადებულ ევროპელებში „სკიტა" ყველაზე პერსპექტიულიაო, მაგრამ შემდეგ „ჰიუსტონს" დრაფტ-ლატარიამ პირველი არჩევანი უბოძა და ის, ვისი აყვანაც „რაკეტებმა" გადაწყვიტეს, მარტო ცქიტიშვილზე კი არა, ყველა ევროპელ და ამერიკელ ჯეელზე პერსპექტიულია. ეს გახლავთ 226-სანტიმეტრიანი ჩინელი იაო მინგი, თურმე წარმოუდგენლად ნიჭიერი ბიჭი და სასწაული უნდა მოხდეს, ჰიუსტონელებმა მას სხვა არჩიონ.

ცქიტიშვილს არ ერგება „ჰიუსტონი", მაგრამ არც უგუნდოდ დარჩება. ფენომენალური მონაცემების ქართველი, როგორც მას ამერიკელები უწოდებენ, განსაკუთრებით „მაიამისა" და „ფინიქსს" სურთ. მოგეხსენებათ, ბოლო სეზონი „მაიამიში" გაუტარებია ნბა-ს პირველ ქართველს, ვლადიმერ სტეფანიას, ფლორიდულ გუნდს კი ახლა მეორე სურს. მაიამელებმა კარგად დაზვერეს პაუ გასოლის ტიპის ჩვენებური და კმაყოფილები დარჩნენ. რაც შეეხება „ფინიქსს", აქ თამაშობს სოხუმელი ბერძენი იაკოვოს ცაკალიდისი და შესაძლოა, ამ გუნდში სამუშაოდ გადავიდეს ცქიტიშვილის ბენეტონელი მწვრთნელი, ნბა-ში მილებული კაცი, მაიკ დანტონი. ფინიქსელები მოხარულები იქნებოდნენ ცქიტოს აყვანით და უკვე გეგმავენ ფარქვეშეთში ცენტრ ცაკალიდისთან ქართველის შეწყვილებას, თუმც იქნებ არც მათ ერგოთ ჩვენებური და არც მაიამელებს. ეს გუნდები, შესაბამისად, მეცხრე და მეათე არჩევანის უფლებას ფლობენ და ადვილი შესაძლებელია, ცქიტიშვილი იქამდე აიყვანოს ვინმემ, სანამ ამ კლუბების ჯერი დადგება.

სპეციალისტთა წინასწარი პროგნოზით, ცქიტიშვილი ვერ მოხვდება პირველ სამ რჩეულს შორის, თუმც უპრობლემოდ უნდა მოხვდეს მოწინავე ათეულში, სავარაუდოდ, მე-4 — მე-7 არჩევნის მქონე გუნდში. ცქიტო კვლავაც იტალიაშია და დაგეგმილი, ამ შაბათს მიემგზავრება წინასადრაფტო საჩვენებელ ვარჯიშებში სამონაწილეოდ, თუმც მან უკვე მოასწრო და იტალიაშივე შეუქმნა დადებითი და არცთუ ზოგადი წარმოდგენა ამერიკელებს. მისი რეიტინგი მე-4 — მე-11 ნომრებს შორის მერყეობს, თან ბოლო ხანებში მკვეთრად მატულობს. მასზე ცნობების შეგროვება და წერა არ ეზარებათ სოლიდურ გაზეთებსა და პოპულარულ ვებ-გვერდებს.

ამას წინათ ESPN-ს საიტზე გამოჩნდა ცქიტიშვილის ყველაზე სრულყოფილი დახასიათება. საიტის საკალათბურთო მიმომხილველი ჩედ ფორდი ქართველ ჯეელზე წერს — „რა მონაცემები ხდის ამ 19 წლის ბიჭს სტუდენტური ამერიკის ვარსკვლავებზე მიმზიდველად და პერსპექტიულად? ბრწყინვალე ფიზიკური მონაცემები და ათლეტიზმი (ამ სიტყვაში ამერიკელები აერთიანებენ მოქნილობას, ძალასა და სისწრაფეს). ის 213 სანტიმეტრია და ბურთს ორმეტრიანი მოთამაშესავით ატარებს და ესვრის. არ მიაქციოთ ყურადღება იმას, რომ იტალიურ გუნდში ის მეორე რიგის სათადარიგო იყო. სწორი მიმართულებით განვითარების შემთხვევაში, რამდენიმე წელიწადში იგი ბევრი გუნდის სასტარტო ხუთეულში დაიკავებს წამყვან ადგილს. შესაძლოა, ის იყოს ყველაზე ათლეტური ევროპული კალათბურთელი, რომელთაც ნბა-ში უთამაშიათ. გარდა ამისა, ის შესანიშნავად ესვრის შორიდან და ხედავს მოედანს.

ცქიტიშვილის მთავარი ნაკლი მსუბუქი სხეულია. ეს ხელს შეუშლის ფარქვეშ ჯაჯგურში და მოხსნებისთვის ბრძოლაში, რაც აუცილებელია მისი სიმაღლის მოთამაშისთვის. ეს ის პრობლემაა, რომლის გადაჭრაც შეუძლია დროს და მუშაობას. ცქიტიშვილი ვერ გამოადგება „ჩიკაგოს", „კლივლენდს" და სხვა გუნდებს, რომლებმაც დაკარგეს დროის შეგრძნება და რამდენიმე წელია, ამაოდ ცდილობენ აღმშენებლობას. ისინი ვერ დაუცდიან ცქიტიშვილს. სამაგიეროდ, ეს ბიჭი გემრიელი ლუკმა იქნებოდა გამართულად მოთამაშე, მაგრამ ვარსკვლავებნაკლული გუნდებისთვის — „მემფისის", „დენვერისა" და „ფინიქსისთვის". პაუ გასოლი შარშან დრაფტის მესამე ნომერი გახდა. მართალია, ცქიტიშვილი მასავით ჩამოყალიბებული კალათბურთელი არაა, მაგრამ უკეთესი მონაცემები აქვს. ჩემი აზრით, მას მეხუთე არჩევანის მფლობელი „დენვერი" აიყვანს".

მეორე ქართველ ამომავალ ვარსკვლავ ზაზა ფაჩულიას ცქიტიშვილივით მომხიბლავი პერსპექტივა არა, მაგრამ ნბა-ში თამაში ნამდვილად უმზერს. 18 წლის და ასევე 211-სანტიმეტრიან ფაჩულიაზე ცქიტიშვილივით დიდი მოთხოვნილება არ არის, ამიტომ ის შესაძლოა ნებისმიერ სუსტ, განვითარებად ან ძლიერ საპლეიოფო გუნდში მოხვდეს. ნბა-ს მზვერავთა მიერ ფაჩულიას ზოგადი შეფასება ასეთია: „18 წლის ასაკში უკვე კარგი კალათბურთელია, თანაბრად კარგად ეხერხება ბევრი რამ — როგორც ფარქვეშ, ასევე ფარისგან მოშორებით თამაში. მისი ნაკლი დიდ მატჩებში მონაწილეობის პრაქტიკის უქონლობაა, რაც სერიოზულად დაბლა სცემს მასზე მოთხოვნილებას. ერთი ან ორი წლის შემდეგ ის დრაფტის ათეულში მოხვდებოდა, ახლა კი მეორე წრის დასაწყისში აიყვანს ვინმე".

ფაჩულია ჯერ 18 წლისაა და რეკლამა აკლია, რის გარეშეც ჭაბუკი გოლიათი ქართველი ძნელად მოხიბლავს პედანტ ამერიკელებს. აი, ვისაც რეკლამა და ყურადღება არ აკლია, ეს იაო მინგია. 226-სანტიმეტრიანმა ჩინელმა ჟირაფმა დრაფტამდე კარგა ხნით ადრე ააწრიალა საკალათბურთო ამერიკა. ყველას შურს „ჰიუსტონის", რომელიც დრაფტზე დაისაკუთრებს ამ უნიჭიერეს აზიელს. ჰიუსტონელი გულშემატკივრები იმასაც კითხულობენ, რა ნომერს მისცემს კლუბი მინგს, რათა ეს მაისურები წინასწარ იყიდონ. ბურთისა და კომპიუტერის მოყვარულმა ჰიუსტონელებმა კი საიტიც გააკეთეს სათაურ-მისამართით yaomingmania.com, სადაც კალათბურთში ბევრით თუ მცირედით ჩახედულნი ჩინელ ბიჭზე აზრს გამოთქვამენ და შაკილ ონილს თითს უქნევენ, ახლა ნახე, ჩვენი ჩინელი რა დღეს დაგაყრისო. ერთი სიტყვით, კოსმოდრომით და რაკეტათმშენებლობით განთქმულ ქალაქ ჰიუსტონს ჩინური ვირუსი შეეყარა.

და ამ საყოველთაო მანიის ჟამს საიტზე ასეთი სიტყვები გაჩნდა: ხალხო, რად გვინდა ეგ წოწოლა ბალღი, აყვანით კი ავიყვანოთ, მაგრამ სანამ ეგ ჩვენებურ კალათბურთს ისწავლის, ემანდ მარცხი არაფერი შეემთხვას და მოდით, თავიდანვე „კლიპერსს" გავუცვალოთ უკვე ვარსკვლავ ლამარ ოდომშიო. ამას ვიღაცა კი არა, თურმე „ჰიუსტონ როკიტსის" პირველი მექულე და ლიდერთაგანი კუტინო მობლი წერს.


ჩინელმა ჟირაფმა იაო მინგმა მთელი ამერიკა აიფორიაქა

ყურადღება არ აკლიათ არც ადგილობრივ წამყვან მოდრაფტეებს. დიუკის სახელოვანი უნივერსიტეტი განაგრძობს ნბა-ს ვარსკვლავებით მომარაგებას და წლეულსაც ორი ყოჩაღი წარმომადგენელი გამოუშვა დრაფტზე. მინგი რომ არა, 188-სანტიმეტრიანი დიუკელი ჯადოგამთამაშებელი ჯეი უილიამსი პირველი ნომერი გახდებოდა, ახლა კი მას ალბათ მეორე არჩევნის პატრონი „ჩიკაგო" აიყვანს.

მის თანაგუნდელ მაიკ დანლივის, რომელიც ნბა-ს სახელგანთქმულ მწვრთნელ მაიკ დანლივის ვაჟია, სავარაუდოდ მესამეობა და გოლდენსტეიტელობა ელის, მეოთხე კი ვინძლო ჩვენი ცქიტოც გახდეს.

**ირაკლი ფირაშვილი**

# ელენ, ლამაზო, მაგრად შეგეშალა!

## დოკიჩი დედისტოლა ნავრატილოვას წაეუზრდელა




ელენა დოკიჩის მშვენიერი სხეულიდან ბოლომამ ამოხეთქა

**ORDINA OPEN**
დენ ბოსხი. ჰოლანდია. ბალახი
საპრიზო 930 ათასი $

**მეორე წრე**

**კაცები**

**როჯერ ფედერერი** (2, შვეიცარია) — ივო ჰოიბერგერი (შვეიცარია) 6:4 (ჰოიბერგერმა შეწყვიტა); **ტომი რობრედო** (4, ესპანეთი) — მიხაელ კოლმანი (გერმანია) 6:7 (6:8), 6:2, 6:1; **სხენგ შალკენი** (6, ჰოლანდია) — კრისტოფ როშუ (ბელგია) 4:6, 7:6 (7:1), 6:3;

**ქალები**

**ჟუსტინ ენენი** (2, ბელგია) — კვეტა პრდლიკოვა (ჩეხეთი) 6:1, 6:4; **ამელი მორესმო** (3, საფრანგეთი) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) 6:2, 6:1; **ელენა დემენტიევა** (4, რუსეთი) — ბიანკა ლამადე (გერმანია) 6:4, 3:6, 6:1; **მაგდალენა მალეევა** (5, ბულგარეთი) — მირიამ ორემანსი (ჰოლანდია) 7:6 (7:3), 7:5; **ელენი დანილიდუ** (საბერძნეთი) — კრისტინა ტორენს ვალერო (6, ესპანეთი) 6:2, 6:2; **ტინა პისნიკი** (სლოვენია) — ადრიანა სერა ძანეტი (იტალია) 6:3, 4:6, 6:4; **ელენა ბოვინა** (რუსეთი) — მარტინა სუხა (8, სლოვაკეთი) 7:5, 6:3

დენბოსხელებს რა გაუხარდათ და სხენგ შალკენის სიყოჩაღე. ბელგიელ კრისტოფ როშუსთან მორკინალმა ამ დაჩბიჭმა პირველი სეტის წაგება არად ჩააგდო და მომდევნო ორი უყოყმანოდ მიითვალა.

ახლა იგი პირველ წრეში მისი ხნიერი თვისტომის, რიხარდ კრაიჩეკის გამტრიზავებელ როჯერ ფედერერს შეეხლება. ტურნირზე მეორე ნომრად განთესილი ფედერერი თავის მხრივ თანამემამულე ივო ჰოიბერგერს გასცდა.

შალკენისგან განსხვავებით ჩაიფლავა ადგილობრივთა ჯილაგოგო მირიამ ორემანსმა, ვინაც ბულგარელ მაგდალენა მალეევას (5) დანებდა.

**SAMSUNG OPEN**
ნოტინგემი. ბალახი
საპრიზო 381 ათასი $

**მეორე წრე**

**ფაბრის სანტორო** (2, საფრანგეთი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:4, 6:4; **გრეგ რუზედსკი** (3, ბრიტანეთი) — ადრიან ვონეა (რუმინეთი) 6:3, 6:2; **ანდრეი სტოლიაროვი** (რუსეთი) — შტეფან კუბეკი (5, ავსტრია) 6:4, 6:4; **მიხელ კრატოხვილი** (6, შვეიცარია) — კრისტიან პლესი (დანია) 6:2, 6:3; **უეინ არტურსი** (ავსტრალია) — დავიდე სანგვინეტი (8, იტალია) 4:6, 7:6 (7:3), 6:4; **მაგნუს ლარსონი** (შვედეთი) — ნიკოლას მასუ (ჩილე) 7:6 (7:4), 6:4; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — იან ვაჩეკი (ჩეხეთი) 7:5, 7:6 (7:5); **ერვინდ პარმერი** (ბრიტანეთი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 7:6 (7:4), 4:2 (კიფერმა შეწყვიტა)

იმ დღეს მოთამაშე მთავარგანთესილთაგან მეოთხედფინალის საგზური უპრობლემოდ მოინაგრეს ფაბრის სანტორომ (2) და გრეგ რუზედსკიმ (3). პირველმა შინაური მიშელ ლოდრა აბარგა, მეორემ კი რუმინელი ადრიან ვოინეა გაისტუმრა.

რუზედსკი ნოტინგემის 1997 წლის ჩემპიონია და უფრო მეტი ყურადღება ამიტომ მის მოგებას უფრო ეთმობა, მაგრამ — ჩვენს შორის თუ გინდ ნუ დარჩეს და — სათქმელი აქ არც არაფერია.

უფრო გამოსარჩევი ეგებ ის იყოს, თუ როგორ უეცრად დასრულდა გერმანელი ნიკოლას კიფერის ბოლოდროინდელი უეცარი მოყინჩება, რამაც წინა კვირაში ჰალეს ტურნირზე პიტ სამპრასიც დაამარცხებინა და მერე ევგენი კაფელნიკოვთან წასაგებ ფინალამდეც მიიყვანა.

გერმანელმა მსოფლიოში 176-ე ჩოგნის მქნეველ ბრიტანელ ერვინდ პარმერთან დათმო — 6:7, მერე 2:4 აგებდა, როცა — კარგად ვერა ვარო — თქვა და მეტოქეს გამარჯვება მიულოცა.

ხოლო რაღაი კიფერი ვახსენეთ, მასზე ბარემ ეგეც ვთქვათ — იყო დრო და მომენტი, და სახელდობრ 1999 წლის ნოემბერში, როცა მან კაცთა მსოფლიო კლასიფიკაციაში მე-4 ადგილის დაკავებაც მოახერხა. მაგრამ მერე — ცალკერძ ტრავმებისა და ცალკერძ კიდევ სხვა რამე-რუმეების გამო — იმავე დონეზე ჩოგნაობა ველარ შეძლო და რეიტინგსიებში თავქვე დაეშვა. ჰალეურ შედეგებს თუ არ გავითვალისწინებთ, წლეულს იგი საშინლად ასპარეზობს, მარტო 9 ტურნირიდან პირველივე წრიდან გავარდა და ამჟამად მისთვის აშკარად შეუფერებელ 54-ე საფეხურზე ბოგინებს.

**EASTBOURN INTERNATIONAL CHAMPIONSHIPS**
ისტბორნი. ინგლისი. ბალახი
საპრიზო 585 ათასი $

**მეორე წრე**

**დაჯა ბედანოვა** (ჩეხეთი) — ელენა დოკიჩი (1, იუგოსლავია) 6:4, 1:6, 6:2; **ანე კრემერი** (ლუქსემბურგი) — სანდრინ ტესტუ (2, საფრანგეთი) 4:6, 6:3, 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა** (3, სლოვაკეთი) — მარტინა ნავრატილოვა (აშშ) 2:6, 6:2, 6:2; **სილვია ფარინა ელია** (4, იტალია) — ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) 4:6, 7:6 (9:7), 6:2; **მეგენ შონესი** (5, აშშ) — რიტა გრანდე (იტალია) 6:4, 6:2; **ემი ფრეიზერი** (აშშ) — იროდა ტულიაგანოვა (6, უზბეკეთი) 6:5 (ტულიაგანოვამ შეწყვიტა); **ჩანდა რუბინი** (აშშ) — მაგი სერნა (ესპანეთი) 6:2, 6:2; **ანასტასია მისკინა** (რუსეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 7:5, 7:6 (7:3)

ტურნირმა გუშინ ბითუმად მოისაკლისა მთავარი ქალები. პირველ წრეში რუსი ტატიანა პანოვას ძლევას მარტინა ნავრატილოვამ დანიელა ჰანტუხოვასთან მოგებული ერთი სეტიც მიაყოლა, მაგრამ ჭარმაგი ჯანი მეტისთვის აღარ ეყო. პირველ-მეორე ნომრებად განთესილ იუგოგო ელენა დოკიჩსა და ფრანგ სანდრინ ტესტუს საისტბორნო იმედებს კი, ბოლო, შესაბამისად, ჩეხმა დაჯა ბედანოვამა და ლუქსემბურგელმა ანე კრემერმა მოუღეს.

დოკიჩი ნამატჩევს იმაზე ნაღვლობდა, რომ მისი, როგორც ტურნირის უპირველესი მეჩოგნის შეხვედრა, სეფეკორტის მაგიერ სამარქაფოებიდან ერთ-ერთზე გაიმართა, [illegible] ნომრად განთესილი [illegible] ბდეს, მაგრამ ორგანიზატორებმა ისე არჩიეს, რომ მთავარი სარბიელი ამ მასხარაობისთვის დაეთმოთ" — ამბობდა იგი.

მასხარაობაში — ჩოგბურთის ღმერთებმა შეუნდონ და — ეს ლაწირაკი სერბისქალი 18-გზის მესლემტიტულე მარტინა ნავრატილოვასა და მისი ისტორიული თვისტომის, დანიელა ჰანტუხოვას თამაშს გულისხმობდა.

„როცა მსოფლიოში პირველი ვიყავი, უიმბლდონზე მეოთხე და მეხუთე კორტებზეც მითამაშია — დოკიჩის ტუტუცობას ნავრატილოვა მშვიდად შეეპასუხა — ეს მაშინაც არ მითაკილია, წინა წელს მოხვეჭილი ტიტულის დაცვა რომ მიხდებოდა".

„თუმცა განაწყენებას არ ვაპირებ. ჩემი აქ გამოსვლა ბევრ მოთამაშეს გაუხარდა, ბევრს კი ეწყინა. პირველებისთვის მადლობის მეტი რა უნდა მეთქმოდეს, მეორეებს კი ღმერთმა ხელი მოუმართოთ".

საკუთრივ მატჩს რაც შეეხება, თავისზე 26 წლით უმცროს მეტოქესთან და — სხვათა შორის — შეგირდთან პაექრობისას ნავრატილოვა კაცურად გაერთო. როცა შეატყო, რომ მომგები აღარ იყო, ანგლობას მიმართა და ზორბა ლიანგი დარდიმანდად აზალისა.

ერთეულად ჩოგნაობა საოცრად მსიამოვნებს, მაგრამ ორბიტაზე დაბრუნებას არ ვაპირებო, იძახდა მერე.

„მე ჩემი ცხოვრება მაქვს, ჩემს გზებზე დავდივარ. ცხადია, აქ გასართობად გამოველი. ვფიქრობ, ცუდადაც არ გავრჯილვარ. ხალხმაც იამა და ჩემთვის მთავარიც სწორედ ეს იყო".

„დანიელას ძლევა კი იოლი საქმე სულაც არ არის — დასძინდა ბოლოს — მას ყველას გამწარება შეუძლია, შეხედეთ, რამხიგრძე კიდურები აქვს".

თავად დანიელა კი სულ მთლად გალიმებულიყო და მოძღვრის შესახებ საუბარს არაფერი ერჩია. „საერთოდ არასოდეს ვფიქრობ იმის შესახებ, თუ ვის ვეთამაშები. მაგრამ ყველაფერი სხვანაირად იყო. ხუმრობა ხომ არაა, ბავშვობის უდიდეს ლეგენდასთან ჩოგნაობდე"–

„ის მე ყოველთვის მეხმარება ხოლმე. თქვენ არ იცით, ეს ბედნიერებაა, გყავდეს ისეთი ადამიანი, ვისაც ნებისმიერ დროს შეგიძლია დაურეკო და საშურ რჩევას დაეკითხო. ოღონდ დღეს არაფერი ურჩევია — მთელი თამაში მხოლოდ ჩოგნით მელაპარაკებოდა".

**ლევან ძელაურაძე**

# ქეში კეში: რომ არა შვილები, თავს მოვიკლავდი

**ბრიტანული** „დეილი მეილი" ამ კვირაში ოდინდელი ავსტრალიელი მეუიმბლდონის, პატ კეშის წიგნის ყველაზე საინტერესო თავებს აქვეყნებს. წიგნს „გაშიშვლებული" ჰქვია და კეშის სპორტულ ბიოგრაფიაზე მოგვითხრობს.

მისი წამკითხველი უთუოდ გაოცდება, როცა სხვა, მეტ-ნაკლებად სასეირო ამბავთა გვერდით იმასაც შეიტყობს, რომ „ჩოგბურთით განაწამები" პატი თვითმკვლელობისგან მხოლოდ შვილებისადმი პასუხისმგებლობამ გადაარჩინა, რომ კარიერის განმავლობაში ის რეგულარულად მიმართავდა ნარკოტიკებს და რომ მის დროს მარიხუანა მეჩოგნეთა უპირველესი ექიმი იყო.

„მაშინ მე დეპრესიაში ვიყავი, საშინელ დეპრესიაში — იგონებს პატი — ზოგჯერ ისე მიჭირდა, რომ ცოტა მაკლდა, შუბლში ტყვია არ დამეხალა. ერთადერთი, რაც თვითმკვლელობისგან მიფარავდა, ჩემი შვილების არსებობა იყო".

„ბავშვები რომ არა, ახლა კარგა ხნის მკვდარი ვიქნებოდი".

პატი ოთხი შვილის მამაა. პატარა კეშები დედა ემილისთან ერთად ლონდონში ცხოვრობენ — 37 წლის მეჩოგნეყოფილი კი ქუინსლენდშია, სადაც ჩოგბურთის აკადემიაში მუშაობს. ემილიმ ინგლისის ახალ ზელანდიაზე გადაცვლა არ ისურვა და ქმარს გაშორდა...

თუმცა მთავარი ახლა ეგ არ არის.

პატი იგონებს, რომ მისი უმთავრესი პრობლემა „წაგების შიშის გადალახვა" იყო.

„ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე დამთრგუნველ ფაქტორად იქცა. გამარჯვებას კი ჰეროინის ეფექტი ჰქონდა. თუ ვერ ვიგებდი, ეგრევე დეპრესიაში ვვარდებოდი".

„როცა ეგეთი რამე გჭირს, გეჩვენება თითქოს წაგებისას ყველას ეზიზღები. ოო, აი, მაშინ კი ნაღდად თავის მოკვლა გირჩევნია. ხოლო როცა ასეთი ამღვრეული ხარ, ველარავისთან ურთიერთობ. ამიტომაც იყო, დროის უმეტესი ნაწილი ცოფიანივით რომ ვიყავი".

„მახსოვს, სიგიჟემდე მივდიოდი. სასტუმროებში ოთახებს ვლეწავდი და რამე. მაშინ იყო, მარიხუანა რომ მირჩიეს".

„მარიხუანათი იმ დროს მარტო მე არ ვერთობოდი. ეს ჩვეულებრივ ამბად ითვლებოდა. არავისთვის საიდუმლო არ არის, როგორ შევჯდა კოკაინზე ვიტას გერულაიტისი. ასეთი რამ ბევრს ემართებოდა".

„როცა პირველად ვთამაშობდი უიმბლდონზე, თითო „მასტერკა" ყოველთვის ბალიშქვეშ მედო. ყოველღამე ვქეშაობდი და ნერვებიც რიგზე მქონდა".

„პრობლემა ისაა, რომ მერე ასეთი ფიქრები მოგდის — ჰო, ამბობენ რომ პლანი ცუდი რამეა, მაგრამ დაბოლება ხომ ჩემს თამაშს არაფერს აკლებს! ამიტომ ბოლდები და ბოლდები. ხოლო როცა ეს აღარ გაკმაყოფილებს, მერე კოკაინზე გადადიხარ, როცა ამითაც ვერ კაიფობ, მერე უკვე სხვა რამე გინდება და, წავიდა...".

როცა ტრავმებმა კორტის მიტოვება აიძულეს, პატი კოკაინზე შემჯდარა.

„ტკივილი არავის სიამოვნებს. როცა ვნახე, რომ კოკაინი აუტანელ ტკივილებს ერთი ღამით მაინც მიყუჩებდა, თავს როგორ შევიკავებდი?

ჰოდა, არც შემიკავებია".

ხანგრძლივი კაიფი 1999 წლის დეკემბერში, არიზონის სარეაბილიტაციო ცენტრში დასრულდა.

„ყველა იმას მეუბნებოდა, რომ ჩემი თავისთვის უნდა მეშველა, მაგრამ ვერაფერს ვახერხებდი".

„ჩემი კლინიკამდელი ცხოვრება გაუთავებელი ბრძოლა იყო. ვაგლახ, მხოლოდ იქ მივხვდი, რომ აქტიური ჩოგნაობისას არავითარი სხვა იარაღი არ გამაჩნდა, რათა ჩემს პრობლემებს გავმკლავებოდი".

„ახლა ყველაფერი სხვაგვარადაა. ვცდილობ, ზომიერებას არაფერში გადავცდე. ჩემი თვითშეფასებაც უკვე აღარ არის დამოკიდებული იმაზე, წავაგებ თუ მოვიგებ".

„როცა უიმბლდონი მოვიგე, პირველი სიტყვები, რაც ჩემს მწვრთნელს ვუთხარი, ეს იყო — ახლა ჯერზე ამერიკაა. მე ყოველთვის მორიგი მწვერვალებისკენ ვიყურებოდი".

„ახლა ვხვდები, რომ ეს სისულელე იყო. გადამეტებული მიზანშემართულობა აუცილებლად გაგიჟებს. დამიჯერეთ, ვიცი, რასაც გელაპარაკებით" — ამბობს პატი და კაცურად იღიმება.

**ლევან ძელაურაძე**




პატ კეშმა წიგნით აღიარა, რომ ახალგაზრდობაში ნარკოტიკებს ეტანებოდა

დსთ-ს, ბალტიისპირეთის და რუსეთის რეგიონების ჭაბუკთა საერთაშორისო თამაშები. მოსკოვი

# ქართველებს ბირთვული იარაღი ჰქონიათ

**მოსკოვური** თამაშების გუშინდელ დღეს ბირთვის მკვრელმა მამუკა ტულუშმა ვერცხლი მოიპოვა და ქართველთა მედლების რაოდენობა ათამდე გაზარდა. სხვათაგან ჩოგბურთელმა თინათინ ყავლაშვილმა მეოთხედფინალში უკრაინელ ოლგა საჳჩუკს 7:5, 6:1 მოუგო და ნახევარფინალში ქართველს ანა ჩაკვეტაძეს შეხვდება. ვაგლახ, რომ ჩაკვეტაძე რუსეთის სახელით ასპარეზობს. კიდევ ერთი ჩვენებური ჩოგბურთელი 12 წლის თათია მიქაძე კი მეოთხედფინალში მასზე უფროს ბელარუს ანასტასია ეკიმოვასთან დამარცხდა — 1:6, 4:6.

14 წლამდელ გოგონათა საჭადრაკო ტურნირს მე-5 ტურის შემდეგ ქართველი ნანა ძაგნიძე 4,5 ქულით ლიდერობს. ორი წლით უმცროსებში ბელა ხოტენაშვილი 3,5 ქულით მესამეზეა. ბიჭებში, ლევან ფანცულაია 2-5 ადგილებს იყოფს რუს და უკრაინელ მოჭადრაკეებთან.

გუნდური სახეობებიდან იყოჩაღეს ჩვენმა ფეხბურთელებმა და ხელბურთელებმა. ფეხბურთელებმა მეოთხედფინალში თურქმენეთის ნაკრებს 3:0 მოუგეს და ნახევარფინალში მოსკოვის ნაკრებს შეებმებიან. ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში ჩვენმა ხელბურთელებმა რუსეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ოლქელებს 30:27 სძლიეს და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ.

| გუნდები | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | სულ |
|---|---|---|---|---|
| მოსკოვი | 18 | 21 | 19 | 58 |
| რუსეთის სამხ. ოლქი | 13 | 5 | 12 | 30 |
| უკრაინა | 12 | 8 | 15 | 35 |
| ვოლგისპირეთი | 9 | 9 | 6 | 24 |
| ბელარუსია | 9 | 4 | 8 | 21 |
| ციმბირი | 7 | 6 | 8 | 21 |
| რუსეთის ცენტრ. ოლქი | 5 | 11 | 14 | 30 |
| სანქტ პეტერბურგი | 5 | 6 | 7 | 18 |
| ურალი | 5 | 5 | 7 | 17 |
| საქართველო | 4 | 4 | 2 | 10 |
| ყაზახეთი | 2 | 4 | 3 | 9 |
| აზერბაიჯანი | 2 | 1 | 4 | 7 |
| ესტონეთი | 2 | 1 | 2 | 5 |
| ყირგიზეთი | 2 | 0 | 3 | 5 |
| ლიტვა | 2 | 0 | 1 | 3 |
| ლატვია | 1 | 6 | 2 | 9 |
| რუსეთის შორ. აღმ. ოლქი | 1 | 2 | 0 | 3 |
| უზბეკეთი | 1 | 1 | 1 | 3 |
| მოლდოვა | 0 | 2 | 2 | 4 |
| რუსეთის ჩრდ. დას. ოლქი | 0 | 2 | 1 | 3 |

ველორბოლა

შვეიცარიის ტური



REUTERS ცოტოსპადა

ედი ლემბო ლიდერის მაისურაში გამოეწყო და ლამაზმანებშიც ჩადგა

# ლემბო პირველად გახდა რემბო

ციურიხი. 19 ივნისი.
პირველი ეტაპი. 171,9 კმ

1. ედი ლემბო (საფრანგეთი, „საინტ ქუენტინ-ოქტოსი") 4 საათი, 18 წუთი, 36 წამი
2. სვენ ტუტენბერგი (შვეიცარია, „ფონაკი") + 1 წუთი, 8 წამი
3. ფრედი როდრიგესი (აშშ, „დომო") იგივე

**შვეიცარიის** ველოტურის ორგანიზატორებს ეიმედებოდათ, რომ წლევანდელ რბოლაში რამდენიმე ძლიერი ნაჯიროვევი სპრინტერიც დაატრიალებდა პედლებს, მაგრამ მოლოდინი არ გაუმართლდათ. ელიტართაგან შვეიცარიულ ტურს მხოლოდ სამთო მრბოლმა ფრანჩესკო კასაგრანდემ, პაოლო სავოლდელიმ და უწინ ჩაუქმა ალექს ცულემ დასდეს პატივი. დანარჩენებმა შვეიცარიაში ენერგიის წვას ჯიროზე დაჭიმული კუნთების მოდუნება ამჯობინეს და რბოლის ორგანიზატორებს უარი შეუთვალეს.

მცოდნე ხალხი ვარაუდობს, მათი უარი ფეხების კი არა, სხვა მიზეზის ბრალიაო. ითქვა, რომ მრბოლებმა შვეიცარიულ ტრასას განგებ აარიდეს თავი, რაკი ვინც ჯიროზე დოპინგრეიდებს გადაურჩა, დარჩენილ დროს სატურდეფრანსოდ სისხლის გაწმენდას მოანდომებსო. სხვაგრივ ეს რბოლა ჯიროს ჩაროზი და ტურ დე ფრანსისთვის მოსამზადებელი ეტაპი უფროა, ვიდრე ამათგან განყენებული სპრინტერობა.

ბობოლა მრბოლთა არყოფნამ ტური კი გაუფერულა, მაგრამ დასაწყები დაიწყო და ველოსამყაროში ეგებ ახალი სახელიც გამოჩნდეს.

ციურიხის შემოგარენში გაფენილი 171,9 კმ-იანი შარა ყველაზე სწრაფად ფრანგმა ედი ლემბომ დაფარა, პირველი ეტაპიც მოიგო და ლიდერის ყვითელი მაისურაც ჩაიცვა. ფრანგმა სპრინტერმა 1 წუთით და 8 წამით გაასწრო აბორიგენ სვენ ტუტენბერგს, რომელიც მშობლიურ ტრასას ხუთი თითივით იცნობს და რბოლამდე იმუქრებოდა, ეტაპს ნაღდად მოვიგებო.

21 წლის ლემბოს კარიერაში ეს პირველი მოგებული ეტაპია. ის 18 წლიდან მონაწილეობს რბოლებში. გაპირველებულმა ყვითელი მაისურა თვით ალექს ცულესგან ჩაიბარა, რომელმაც წინა დღით რბოლის პროლოგი მოიგო.

**ბაჩო სვანიძე**

**საერთო ჩათვლა**

1. ედი ლემბო (საფრანგეთი, „საინტ ქუენტინ-ოქტოსი") 4 საათი, 26 წუთი, 32 წამი
2. ალექს ცულე (შვეიცარია, „კოასტი") + 49 წამი
3. ჯუზეპე დი გრანდე (იტალია „ინდექს ალექსია") + 55 წამი



ჯონა ლომუ გონიერი გოლიათია

*ჯონა ლომუს ვარსკვლავმა 1995 წლის სამხრეთ აფრიკის მსოფლიოს თასზე გაიბრწყინა. 196-სანტიმეტრიანი და 118 კილოიანი გიგანტი თავზარს სცემდა და უმოწყალოდ არბევდა მეტოქის მცველებს. წლების მანძილზე მსოფლიოს საუკეთესო მორაგბის ტიტულს ლომუ არავის უთმობდა. გავიდა დრო და მისი მძიმე, მაგრამ საოცრად მოქნილი სხეული მწვრთნელების ტაქტიკურ ჩარჩოებში ვერ ჩაჯდა. ცოცხალი ლეგენდა და ლელოების არსაიდან შემქმნელის ადგილი მხოლოდ სათადარიგო სკამზე გამოიძებნა.*

# მე ის ლომუ აღარ ვარ...

## რაგბის ჯინი ბოთლში ჯდომას არ უკადრისობს

**ახალზელანდიური** ჟურნალის და ლომუს ეს ინტერვიუ ამ უქმეებზე გამართული ახალი ზელანდია — ირლანდიის ტესტის შემდეგ შედგა. იმ მატჩში ლომუ სათადარიგო მორაგბე იყო, მოედანზე მატჩის დასრულებამდე ხუთი წუთით ადრე შევიდა, მაგრამ თავისი მაინც გააკეთა და ბურთთან პირველივე შეხებით თანაგუნდელს გამარჯვების ლელო გაატანინა.

**— თქვენ „ოლ ბლექსის" უპირველესი ვარსკვლავი ხართ, თუმც ბოლო ხანს სათადარიგოთა სკამზე გიწევთ ჯდომა. რით ახსნით ამათ?**

— ეს მწვრთნელის ჩანაფიქრია. ჯონ მიტჩელი ჭკვიანი კაცია და უკეთ იცის, როდის შემიძლია სარგებლის მოტანა. თავიდანვე რომ ვთამაშობ, მეტოქის მცველები გაორკეცებული ყურადღებით მეთამაშებიან. შეცვლაზე რომ შევდივარ, ჩემზე გადაწყობას ვეღარ ასწრებენ და მეც არეულობა შემაქვს მათ დაცვაში.

**— გასაგებია, მაგრამ 1995 წელს სათადარიგოებში რომ ყოფილიყავით, მწვრთნელს ალბათ, მოხსნიდნენ...**

— მაშინ ძალიან გამიმართლა. საუკეთესო ფორმაში ვიყავი და, რაც მთავარია, ვარსკვლავად ბევრი არ მიმიჩნევდა, რაც მეტოქის მცველების ჩემდამი ინტერესს ანელებდა. ეს საქმეს მიადვილებდა და მსოფლიოს თასზე ვარსკვლავი ლომუც დაიბადა. ჩემი უთამაშებლობის გამო მოხსნიდნენ თუ არა მწვრთნელს, ამაზე პასუხის გაცემა მიჭირს. მწვრთნელმა თავისი საქმე უნდა აკეთოს, მორაგბემ თავისი.

**— თქვენი აზრით, ჯონ მიტჩელი სამართლიანად გექცევათ?**

— მე არ ვარ კარგ ფორმაში და მთელი 80 წუთი ერთ დონეზე ვერ ვითამაშებ. მიტჩელმა მითხრა, ახლა უფრო გარდამტეხ მოთამაშედ მჭირდებიო. მიტჩელის ტაქტიკა ამართლებს და გუნდიც იგებს. გუნდის ინტერესები კი უპირველესია და პირადი ამბიციების გამო აწყობილ მექანიზმს არ მოვშლი.

**— რას მიაღწევს ახალი ზელანდია 2003 წლის მსოფლიოს თასზე?**

— ჩვენ მარტო ჩემპიონობა დაგვაკმაყოფილებს. კარგი იქნებოდა, ჩვენი ქვეყნისთვის მსოფლიოს თასის თანამასპინძლობა არ ჩამოერთვათ. ამით უბრალო ხალხი აზარალეს, ხალხი, რომელიც რაგბით ცოცხლობს, თორემ ჩვენი შანსები ერთი პროცენტითაც არ შემცირებულა. ვფიქრობ, საჩემპიონო გუნდი გვყავს.

**— კი მაგრამ, ავსტრალია, სამხრეთ აფრიკა, ინგლისი, საფრანგეთი... მათაც ხომ ძალიან ძლიერი ნაკრებები ჰყავთ...**

— დავიწყებ იმით, რომ „ოლ ბლექსი" ახლა ყველაზე თანამედროვე და აგრესიულ რაგბის თამაშობს. უკანა ხაზში სამი ისეთი მორაგბე გვყავს — ტანა უმაგა, კრისტიან ქალენი და დენ მაუგერი — რომელთა შეჩერებას არაადამიანური ძალა სჭირდება. შერკინება მობილური და ლონიერია. რგოლებს შორის წყვეტილობა არაა და, რაც მთავარია, გუნდი აზროვნებს. ვფიქრობ, ეს საკმარისია იმისთვის, რომ მომავალი მსოფლიო თასის უპირველესი ფავორიტები ვიყოთ. ცხადია, დიდი ძალაა ავსტრალია, მაგრამ, ჩემი აზრით, ოზები ერთ დონეზე გაჩერდნენ, პროგრესი არ შეინიშნება, თანაც აღარ ეყოლებათ გუნდის ლიდერი ჯონ ილზი, რომელიც მოვლენა იყო რაგბიში. საფრანგეთიც პრაგმატულ რაგბის თამაშობს. მართალია, მათ ექვსი ერი მოიგეს, მაგრამ მაინც აკლიათ ის რაღაც, რაც გაცილებით დიდი ტურნირების მოსაგებადაა საჭირო. „ის რაღაც", ალბათ, უფრო ფანტაზიაა. სამხრეთ აფრიკა და ინგლისი ძალიან ძლიერები არიან. განსაკუთრებით ინგლისი მომწონს. რომანტიკულ რაგბის თამაშობენ, მათი მწვრთნელი კლაივ ვუდვორდი ნახაზებს არ ახვევს თავს მორაგბეებს. ვუდვორდს თავისუფალ მხატვარს შევადარებდი. ინგლისელებს ჰყავთ ჯონი უილკინსონი, რომელიც ჯერ მხოლოდ 21 წლისაა და უკვე ვარსკვლავია. იგი ფენომენია. დღეს მისებრ არავის შეუძლია თამაშის წარმართვა. კარშიც შესანიშნავად ურტყამს. მისი პასები, მოედნის ხედვა ჩემს აღფრთოვანებას იწვევს. სამხრეთ აფრიკას კი ბოლო ათი წლის მანძილზე ყველაზე ძლიერი ნაკრები ეყოლება. „ქურციკების" მწვრთნელმა რუდი სტრაულიმ შარშან მოატოვა მორაგბეობა, მოედანზე ნაწყვეტს ახლა აანალიზებს და დალეჭილ ...მოთამაშეებს შეგირდებს. მან ძირეულად შეცვალა შემადგენლობა, სამი ვეტერანი დაიტოვა და მათ ირგვლივ ნიჭიერი, ძალიან ძლიერი მორაგბეები შეკრიბა.

**— სამხრეთული და ევროპული რაგბი შეადარეთ და გვითხარით: რომელი დგას დღეს წინ?**

— სამხრეთული. ევროპელები, გარდა ინგლისისა, ძველ, დაცვით რაგბის თამაშობენ, რითაც ამუხრუჭებენ სანახაობრივ და თანამედროვე რაგბის პოპულარიზაციას. ევროპული რაგბის დონე დაქვეითდა, ან ჩვენ, სამხრეთელები ვიზრდებით სწრაფად. ძალიან დიდ პატივს ვცემ საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელ ბერნარ ლაპორტს, მაგრამ მისი ტაქტიკური სქემები რაგბის გამრავალფეროვნებას უშლის ხელს, თუმც მას შედეგი აქვს და ვერაფერში შეედავები. მიუხედავად ამისა, მომავალ მსოფლიოს თასზე ევროპელთაგან მარტო ინგლისი მიაღწევს დიდ შედეგს. უსამართლობა იქნება, მათ ეს ვერ მოახერხონ.

**— დღეს ბევრი ავსტრალიელი, ახალზელანდიელი თუ სამხრეთაფრიკელი მორაგბე მიდის ევროპულ კლუბებში, სადაც მათ დიდ გასამრჯელოს უხდიან. თქვენც გქონდათ მიწვევები, მაგრამ ევროპაში თამაში იუარეთ. რატომ?**

— რამდენიმე ევროპული გრანდი მეპატიჟებოდა და რაგბისთვის ასტრონომიულ ჰონორარსაც მპირდებოდნენ, მაგრამ მე შინ დარჩენა ვამჯობინე. ფული საკმარისად მაქვს და ამისთვის ევროპაში წასვლა არ მჭირდება. გარდა ამისა, რა სჯობს ზე-12-ში თამაშს. რომელი ევროპული ლიგა ანაც საკლუბო ტურნირი შეედრება ზე-12-ს?! მეორეც, ნაკრების მწვრთნელები ლეგიონერებს არ სწყალობენ და მათ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ნაკრებში აღარ იძახებენ. მეც არ მინდა ნაკრებს მიღმა დავრჩე. ბოლოს და ბოლოს, კიდევ ორი მსოფლიოს თასი მაინც უნდა ვითამაშო და ძალიან მინდა, მსოფლიოს ჩემპიონი გავხდე.

**— ძნელი წარმოსადგენია, თქვენი გალეგიონერების შემთხვევაში ნაკრებში არ დაგიძახონ.**

— რატომ? მე ხომ ის ლომუ აღარ ვარ.

**— ხუმრობთ!**

— არა, სრული სერიოზულობით გეუბნებით. ჩემი თამაშის სტილი ახლა ყველამ გაშიფრა და არც ისე ძნელი შესაჩერებელი ვარ.

**— და ბოლოს, ამ ზაფხულს სამი ერის ტურნირი დაიწყება. შეძლებს ახალი ზელანდია მის მოგებას?**

— რატომაც არა, ოღონდ წლეულს ჩვენი კონკურენტი სამხრეთ აფრიკა იქნება და არა ავსტრალია. აფრიკელებზე მეტი შანსი ჩვენ გვაქვს. სტრაული ჯერ კიდევ ძიებაშია და გუნდს საბოლოო სახე ვერ მისცა, რაც მათ სასარგებლოდ ნამდვილად ვერ მეტყველებს. ვფიქრობ, სამი ერის ჩემპიონებიც გავხდებით.



ჯონა ლომუს შებოჭვას ერთი კაცი რას ეყოფა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აკოცე ქმარს



უკვე ჩამოდგა ჟამი დიდი თამაშისა და გოგოებმაც დროშები შემოიხვიეს. უფრო სწორად, აპირებენ. გოგოებს სირლი და კორინა ჰქვიათ და რომელია ბრაზილიელი და რომელი ინგლისელი, თავად მიხვდებით.

მოწინააღმდეგეებს კი გოგოებზე ფიქრის დრო არა აქვთ. ჰამამატუში დაბანაკებულ ბრაზილიელებს ღია ვარჯიში გაუმართავთ და ავტოგრაფების მსურველებსაც რა დალევდა. ბრაზილიელთა ლამაზმა ბიჭმა, კაკამ მაისურებიც კი გაისროლა ხალხისკენ. ვარჯიშზე შეუღწევია ერთ რიოელ ქომაგსაც, სახელად ვაგნერ რამოსს, რომელიც თავისი პაწაწინა ვაჟის, ჟუნასის თანხლებით დაქროდა ბაზაზე და ფეხბურთელთა სადიდებლად გაჰყვიროდა. პატარა ჟუნასი სიმშვიდით გამოირჩეოდა.

კორეელებმა უკვე აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნებათა ოსტატები მიიწვიეს. ვითარცა ვამტვრევთ აგურსა და ფიცარს, ისე ვამტვრევთ ყოველ მოწინააღმდეგესო. კორეაში ახლა ძალიან პოპულარულია მათი ეროვნული გუნდის ფეხბურთელთა მოდელები. იტალიელებთან მატჩის გმირის, იუნგ ჰვან ანის თოჯინებზე ხომ საერთოდაც რიგი დგას.

ამასობაში კი სამშობლოს დაბრუნებულა ბელგიის ნაკრები. კაპიტანსა და გმირს, მარკ ვილმოტსს ცოლი ჩაჰკვრია. განა ბევრსა ჰყავს ასეთი ქმარი?



REUTERS ბრიუსელიდან



REUTERS ჰამამაცუდან



REUTERS სეულიდან



REUTERS ჰამამაცუდან



REUTERS სეულიდან


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge